# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაცვლა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ხუთშაბათი, 16 ივნისი. 2016 წ. №110 (8002), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


ანგელა მერკელი:



## საქართველო არ არის ევროკავშირში გაწევრების კანდიდატი

(2)

## გერმანია მხარს უჭერს საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების კურსს

ნორბერტ ლამერტი





## გრანტიჭამიები აშკარა იერიშზე გადმოდიან! (5)

ვის სურს საქართველოში მოძალადური იდეებით ბრძოლა?

ანა ნაცვლიშვილი:

## სტრასბურგის სასამართლო არ ამბობს, რომ მერაბიშვილი უნდა გაათავისუფლდეს პატიმრობიდან (3)





(4)

რამაზ საყვარელიძე:

## როდესაც დანაშაულთან ბრძოლის სისტემაში ხარვეზია, ეს თავად არის დანაშაული...

(8)

## თომას ჰამარბერგს თურქი აფხაზების შესახებ შეახსენეს

◉ დღის ამოჭრაზურიდან



— ეს ფიქრია ჩიხრაძე სახელმწიფოზე მზრუნველი პრეზიდენტის პოლიტიკური მრჩეველია თუ ათას ბოროტებაში მხილებული ვანო მერაბიშვილის ისევ ახალი მემარჯვენე ვექილი, რომელიც უსირცხვილოდ მხარს უბამს ნაძირალა ნაციონალ ოთო კახიძეს?!

ჩანს, ამ თავისი გულისნადების გამხმიანებელი მრჩევლის სახელმწიფოს საზიანო პოზიციაზე დგას საეჭვო პარტიების გულის მომფხანი ჯილა პრეზიდენტიც!



## ოქრუაშვილი – ოქროს მოწმე

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა ყოფილი თანაგუნდელების ვანო მერაბიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ ჩვენება მისცა. საქმე ეხება ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტს, სადაც ოქრუაშვილი პროკურატურის მთავარი მოწმეა. სასამართლოში ოქრუაშვილმა დეტალურად გაიხსენა 2005 წელს შავნაბადას რეზიდენციაში მიხეილ სააკაშვილთან და ვანო მერაბიშვილთან შეხვედრა.

მოწმე ოქრუაშვილის მტკიცებით, სწორედ იქ დაიგეგმა ვალერი გელაშვილზე თავდასხმა, რომლის მიზეზიც გელაშვილის შეურაცხმყოფელი განცხადებები იყო სააკაშვილისა და მისი ოჯახის წევრების მიმართ. ოქრუაშვილის ჩვენებით, მან გელაშვილზე თავდასხმის ორგანიზებაზე უარი თქვა, რაც საბოლოოდ ყოფილმა პრეზიდენტმა შინაგან საქმეთა იმ დროინდელ მინისტრს დაავალა.



ოლიმპიური ჩემპიონი ვახტანგ ბლაგიძე



## და კედელს შერჩა ნაფეხურები (10)

რუსთაველიდან – გალაკტიონამდე



(6)

როინ მეტრეველი

## შვიდ სამეფოდ განწესებული

„რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორია"

## მე არ მებრალებიან! (7)

რას გამოვცემთ და რატომ გამოვცემთ?



# გერმანია დაინტერესებულია საქართველოს სტაბილური განვითარებით



**გერმანია მხარს უჭერს საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების კურსს, — განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის პრეზიდენტმა ნორბერტ ლამერტმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან გამართულ შეხვედრაზე. მანვე ხაზი გაუსვა გერმანიასა და საქართველოს შორის არსებული მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობის ხანგრძლივ ისტორიას.**

მხარეებმა ისაუბრეს ორი ქვეყნის ურთიერთობების ძირითად საკითხებზე, საპარლამენტთაშორისო თანამშრომლობის და სამოქალაქო საზოგადოებებს შორის ურთიერთობების განვითარების მნიშვნელობაზე, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დღის წესრიგზე. ხაზი გაესვა ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შესახებ გადაწყვეტილების დროულად მიღების მნიშვნელობას და აღინიშნა ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული წარმატებული რეფორმები.

შეხვედრაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი შეფასდა, როგორც დასტური საქართველოს მზაობისა, განამტკიცოს ურთიერთობები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან.

# „ვაჭრობა და ბიზნესი საქართველოსთან ერთად"

**გუშინ ბერლინში საქართველო-გერმანიის ბიზნესფორუმი დაიწყო, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გახსნა.**

საქართველო-გერმანიის ბიზნესფორუმის მთავარი თემებია: საქართველოს მიმზიდველი, სტაბილური ბიზნესგარემო და ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობები.

ფორუმის მონაწილე 130-მდე ქართული და გერმანული ბიზნესორგანიზაციის წარმომადგენლებს გიორგი კვირიკაშვილმა საქართველოს, როგორც რეგიონის წამყვანი რეფორმატორი ქვეყნის, პოტენციალი გააცნო. პრემიერ-მინისტრის განმარტებით, საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე.

**„საქართველო დგას ევროკავშირთან და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან გაღრმავების გზაზე. ჩვენ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების გზაზე მნიშვნელოვანი პროგრესი გვაქვს და უახლოეს მომავალში ველით სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მიღებას. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება ახალ შესაძლებლობებს ზრდის. მოგვიანებით ამ თვეში, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას მოვაწერთ ხელს,"** — განაცხადა პრემიერმა.

საუბრის დასაწყისში პრემიერმა ხაზი გაუსვა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაძლიერებისა და ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელობას. გიორგი კვირიკაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველო-გერმანიის ბიზნესფორუმი ხაზს უსვამს ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების მზაობას.

სიტყვით გამოსვლისას გიორგი კვირიკაშვილმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს ისტორიულ სტრატეგიულ როლზე რეგიონში. მისი თქმით, საქართველო, რომელიც წელს დამოუკიდებლობის აღდგენის 25-ე წლისთავს აღნიშნავს, ტოტალიტარული რეჟიმით დაზიანებული ქვეყნიდან თანამედროვე, დემოკრატიულ და დინამიკურ სახელმწიფოდ გარდაიქმნა.

საქართველო-გერმანიის ბიზნესფორუმი ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს ორგანიზებითა და ევროპის სავაჭრო-სამრეწველო პალატათა ასოციაციის მხარდაჭერით იმართება. მასში მონაწილეობს 100-ზე მეტი გერმანული და 30-ზე მეტი ქართული კომპანია სატრანზიტო გადაზიდვების, ლოჯისტიკის, მშენებლობის, ტელეკომუნიკაციების, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, წარმოების, იურიდიული, ფინანსური და საბანკო მომსახურების სექტორებიდან.

ფორუმის დასრულების შემდეგ გაიმართება ქართული ღვინის ექსპო და ფოტოგამოფენა.

# ანგელა მერკელი: საქართველო არ არის ევროკავშირში გაწევრების კანდიდატი

**გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის განცხადებით, საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება შედის ძალაში, თუმცა მანამდე, ბევრი რამ არის გასაკეთებელი. კანცლერის თქმით, საქართველოს ევროკავშირში გაწევრება დღის წესრიგში არ დგას.**

„ასოცირების შეთანხმება შედის ძალაში, მაგრამ არის კიდევ ბევრი რამ გასაკეთებელი. მისი იმპლემენტაცია ჯერ კიდევ საჭიროა. მოდით, ჯერ ამაზე ვილაპარაკოთ, გავაკეთოთ ყველაფერი, რისი გაკეთების საშუალებასაც გვაძლევს. საქართველო არ არის ევროკავშირის გაწევრების კანდიდატი, ეს არ არის ჩვენ დღის წესრიგში, მაგრამ მოდით, გავაკეთოთ ჯერ ის, რაც ჩვენს გეგმაში შედის. კარგად დავამთავროთ ეს პროცესი. ჩვენ ვხედავთ დიდ წარმატებას, რომელსაც საქართველომ მიაღწია და მოდით, ასე ნაბიჯ-ნაბიჯ წინ ვიაროთ", — განაცხადა მერკელმა.

* * *

**ჩვენ ძალიან გვიხარია, რომ საქართველო პრაგმატულ ნაბიჯებს დგამს რუსეთთან, — მერკელის თქმით, გერმანია მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ამაში მოიაზრებს სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს — „ჩვენ ამაზე ვილაპარაკეთ.** მიხარია, რომ ჰუმანიტარული კონტაქტები, ადამიანებს შორის კონტაქტები არსებობს ამ რეგიონებთან და მივესალმებით საქართველოს ძალისხმევას ჟენევის ფორმატში წარმატების მისაღწევად", — განაცხადა ანგელა მერკელმა.

* * *

**გერმანიის კანცლერი იმედოვნებს, რომ საქართველოს ვიზალიბერალიზაცია წარმატებით დამტკიცდება.** გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრის დასრულების შემდეგ, ერთობლივ პრესკონფერენციაზე ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის გაუქმებამდე ევროპარლამენტმა ვიზალიბერალიზაციის შეჩერების მექანიზმი უნდა დაამტკიცოს.

„გასულ კვირას ჩვენ ტელეფონით ვისაუბრეთ ვიზალიბერალიზაციის თემაზე. ევროკომისიამ დაადგინა, რომ საქართველომ ყველა წინაპირობა შეასრულა ვიზალიბერალიზაციისთვის. ახლა ველით, როდის გადაწყდება ეს საკითხი, რომ საქართველომ მიიღოს უვიზო რეჟიმი. წინა კვირას ვისაუბრე, რომ ავამოქმედებთ ე.წ. შეჩერების მექანიზმს, რომელიც არ არის მიმართული კონკრეტულად საქართველოზე, არამედ ზოგადად ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით, რათა უფრო სწრაფი რეაგირება მოხდეს პრობლემებზე, მაგალითად, თუკი იქნება ძალიან ბევრი თავშესაფრის მაძიებელი იმ ქვეყნიდან, რომელიც ვიზალიბერალიზაციის რეჟიმით სარგებლობს. გასულ წელს გვქონდა მსგავსი პრობლემა სერბეთთან დაკავშირებით და არ გვსურს, რომ ასეთი რამ კიდევ განმეორდეს. ვიმედოვნებთ, რომ ევროპარლამენტი ამ მექანიზმს მალე დაამტკიცებს, შესაბამისად საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზალიბერალიზაციაც წარმატებით იქნება დამტკიცებული", — აღნიშნა მერკელმა.

# „ჩვენ მუდმივად ვცდილობთ, რომ რუსეთთან მტრული რიტორიკა ავიცილოთ"

**ანგელა მერკელთან ერთობლივი პრესკონფერენციის დროს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ოსებთან და აფხაზებთან ნდობის აღდგენაზე ისაუბრა — „ჩვენთვის არა მხოლოდ მნიშვნელოვანია ტერიტორიების დაბრუნება, არამედ ხალხის შემორიგება, ერის გამთლიანება. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია აფხაზ და ოს დებთან და ძმებთან ნდობის აღდგენა", — განაცხადა პრემიერმა.**

გიორგი კვირიკაშვილმა საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაზეც ისაუბრა. კვირიკაშვილის განცხადებით, საქართველო კონსტრუქციულ მიდგომაზეა გადასული:

„ჩვენ მუდმივად ვცდილობთ, რომ რუსეთთან მტრული რიტორიკა ავიცილოთ, 2012 წლიდან მოყოლებული ჩვენ შევცვალეთ მთავრობის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, იმ კუთხით, რომ მაქსიმალურად კონსტრუქციულები გავხდით, მაგრამ აქ არ არის არანაირი კომპრომისი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართულებით. ჩვენ გვაქვს ტერიტორიული, ოკუპაციის პრობლემები, მაგრამ ჩვენი მიდგომა მაქსიმალურად კონსტრუქციულია, რომ მშვიდობიანად ვისაუბროთ კონფლიქტის გადაწყვეტაზე", — განაცხადა კვირიკაშვილმა.



## გიორგი კვირიკაშვილმა ანგელა მერკელი საქართველოში მოიწვია

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გერმანიის კანცლერი საქართველოში მოიწვია:**

„ჩვენ ერთად ვემზადებით 2017 წელს საქართველო-გერმანიის მეგობრობის წლის აღსანიშნავად. ამ მხრივ მრავალ საინტერესო ღონისძიებას ვგეგმავთ. მსურს, ვისარგებლო შემთხვევით და მოვიწვიო გერმანიის ფედერაციული კანცლერი საქართველოში, რათა ჩვენთან ერთად აღნიშნოს საქართველო-გერმანიის მეგობრობის წელი", — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა ანგელა მერკელთან ერთობლივი პრესკონფერენციის დროს.

# მანუჩარ მაჩაიძემ „პატრიოტთა ალიანსი" დატოვა

**ამის შესახებ მანუჩარ მაჩაიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, საკრებულოში მუშაობას დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით გააგრძელებს.**



„ჩემთვის მიუღებელია „პარტიოტთა ალიანსის" სიაში იყოს „რუსთავი-2"-ის ტელეწამყვანის დიანა ჯოჯუას მეუღლე ნიკოლოზ რამიშვილი. მის კანდიდატურას პარტიის პოლიტსაბჭომ მხარი დაუჭირა, მე ამის წინააღმდეგი წავედი, სწორედ ეს გახდა მიზეზი „პატრიოტთა ალიანსის" დატოვების", — განაცხადა მანუჩარ მაჩაიძემ.

მისივე თქმით, ნიკოლოზ რამიშვილი „ნაციონალური მოძრაობის" და ვანო მერაბიშვილის მეგობარია.

„ასეთ ხალხთან ერთად პარტიაში ვერ ვიქნები", — განაცხადა მაჩაიძემ.

„პატრიოტთა ალიანსის" ლიდერი ირმა ინაშვილი საკრებულოს დეპუტატ მანუჩარ მაჩაიძის განცხადებას უზნეობას უწოდებს. როგორც ირმა ინაშვილმა განაცხადა, მანუჩარ მაჩაიძემ პარტია მხოლოდ იმიტომ დატოვა, რომ საპარლამენტო სიის ხუთეულში ვერ მოხვდა.

# ბადრი ჯავახიშვილი ნარკომომხმარებელი იყო



**პარლამენტის ვიცე-სპიკერის მანანა კობახიძის განცხადებით, მისი ძმის, საკრებულოს დეპუტატ თედო კობახიძის წინააღმდეგ მიზანმიმართული კამპანია მიმდინარეობს.**

ვიცე-სპიკერმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ბადრი ჯავახიშვილი, რომელიც თედო კობახიძეს თანხის გამოძალვაში ადანაშაულებს, ნარკომომხმარებელი იყო.

„ოფიციალურად მეტადონის პროგრამაში ყოფილა. ეს ინფორმაცია არსებობს. რატომ გაუშვეს? მის ქმედებაში იყო რაღაც არაადეკვატურობა და მე ვხსნი ამ არაადეკვატურობას ნარკომოხმარებით. ის იყო დათხოვნილი, მანამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში მუშაობდა. პოლიციელია, მაგრამ იყო დათხოვნილი. არც ვაპირებდი ამის თქმას, უბრალოდ, რადგანაც აქამდე მივიდა საქმე და მეკითხებით, რატომ დაითხოვეს, ის არ იყო ადეკვატური თავის ქცევებში და რატომ არ იყო — მე ვხსნი ამას ნარკოდამოკიდებულებით. ნარკოდამოკიდებულის ყოფნა საჯარო სამსახურში არ არის მიზანშეწონილი და აკრძალულია.

სხვათაშორის, ამ თემაზე საკრებულოშიც ალბათ მოკვლევა უნდა ჩატარდეს, იმიტომ, რომ, რა თქმა უნდა, თედოს ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა და ეს რომ ჰქონოდა, მას სამსახურში არ აიყვანდა", — განაცხადა მანანა კობახიძემ.




## ანა ნაცვლიშვილი:

# სტრასბურგის სასამართლო არ ამბობს, რომ მერაბიშვილი უნდა განთავისუფლდეს პატიმრობიდან

**„პოლიტიკურ მოტივაციაზე დისკუსია დაუსაბუთებელია“, — აცხადებს ანა ნაცვლიშვილი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელი და ამავე დროს ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური და თითქმის ყოველთვის ტენდენციური მხარდამჭერი. ეს პასაჟი თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ სიმართლე ერთია, ხოლო ვინ როგორი ინტერპრეტაციით წაიკითხავს სტრასბურგის ადამიანის უფლებთა საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებას ვანო მერაბიშვილის საქმეზე, — მეორე. შესაბამისად აბსურდი და ფუჭია იმის მტკიცება, რომ თითქოს „მერაბიშვილის პატიმრობაში ყოფნის თითოული წამი ქვეყნის იმიჯზე უარყოფითად აისახება“.**

კვალიფიციური იურისტი **ლია მუხაშავრია,** მართალია, ამბობს, რომ მერაბიშვილი იყო მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირი, რაც გულსხმობს იმას, რომ ის პოლიტპატიმარია, თუმცა, იქვე დასძენს, რომ სტრასბურგის გადაწყვეტილებაში სიტყვასიტყვით ეს არ წერია.

საპირისპირო არგუმენტები აქვს იურისტ ანა ნაცვლიშვილს, რომელიც აღნიშნავს:

**„ამ გადაწყვეტილებაში მე ვერ ვნახე, სად აკეთებს სასამართლო მითითებას იმაზე, რომ ეს იყო პოლიტიკურად მოტივირებული დაკავება“.** მისი თქმით, იმ მსჯელობიდან გამომდინარე, რომელსაც სასამართლო ავითარებს, **„პოლიტიკურ მოტივაციაზე დისკუსია დაუსაბუთებელია“:** „ვანო მერაბიშვილის საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა. მას საჩივარში 4 საკითხი ჰქონდა დაყენებული. ამ ოთხიდან ორთან მიმართებაში არა, ხოლო ორთან მიმართებაში დარღვევა დაადგინა. საზოგადოებაში რომ გაუგებრობა არ გამოიწვიოს, ეს გადაწყვეტილება არ ეხება და სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია იმაზე, დამნაშავეა თუ არა ვანო მერაბიშვილი წარდგენილ ბრალდებებში. **„ეს მსჯელობის საგანი საერთოდ არ ყოფილა. ის საკითხები, რაც მერაბიშვილმა სამსჯელოდ დააყენა, იყო შემდეგი: ის ამბობდა, რომ წინასწარი პატიმრობის შეფარდება თავიდანვე უკანონო იყო. სასამართლომ არ გაიზიარა ეს მოსაზრება და თქვა, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელციოს გადაწყვეტილება პატიმრობის შეფარდების თაობაზე წინააღმდეგობაში არ მოდის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-5 მუხლის პირველ ნაწილთან. რაც შეეხება იმას, თუ რასთან მიმართებაში დაადგინა სასამართლომ დარღვევა, სასამართლომ თქვა, რომ 25 სექტემბერს, როცა მერაბიშვილი წინასასამართლო სხდომაზე წარსდგა და მისი დაცვის მხარემ კვლავ დააყენა (წინასწარი) პატიმრობის კანონიერების საკითხი, მოსამართლემ დაუსაბუთებლად მიიღო გადაწყვეტილება პატიმრობის გაგრძელებასთან დაკავშირებით და არ უმსჯელია იმაზე, რატომ უნდა გაგრძლებულიყო, ან არ გაგრძელებულიყო წინასწარი პატიმრობა. ანუ სასამართლომ დარღვევა დაადგინა სექტემბრის წინასასამართლო სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით“.**

ანა ნაცვლიშვილი განმარტავს, რომ მართალია, ამ ნაწილში სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევა დაადგინა, მაგრამ სახელმწიფო ვალდებული არ არის, ვანო მერაბიშვილი გაათავისუფლოს, რადგან **„დღეს ის უკვე იმყოფება არა (წინასწარ) პატიმრობაში, არამედ მსჯავრდებულია. „ეს ეპიზოდი ფაქტობრივად დასრულებულია. მისი წინასწარი პატიმრობის დროს რომ ყოფილიყო მიღებული ეს გადაწყვეტილება, სხვა სამართლებრივი შედეგები შეიძლება ჰქონოდა, რადგან დაცვის მხარე მოიხმობდა მას და ეროვნულ სასამართლოს თავიდან მოუწევდა მსჯელობა. ახლა ის (წინასწარ) პატიმრობაში აღარაა. ის გასამართლებული და მსჯავრდებულია. ის ფაქტი, რომ წინასწარი პატიმრობის კონკრეტულ მონაკვეთში დარღვევა დადგინდა, არ ნიშნავს, რომ ის ახლა უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან. ამას არც სასამართლო ამბობს და ეს არც რომელიმე სამართლებრივი პრინციპებიდან გამომდინაროებს“, — ასეთია ნცვლიშვილის მოსაზრება.**

ბოლოს სასამართლო ამბობს, რომ არ შეიძლება წინასწარი პატიმრობის გამოყენება მორალური ზეწოლის განსახორციელებლად. ჩვენ გვაქვს შემდეგი ვითარება: სასამართლო თავის მსჯელობას მე-18 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით მთლიანად მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის ეპიზოდზე აფუძნებს და არა იმ სხვადასხვა რეზოლუციებსა და ზოგად პოლიტიკურ კონტექსტზე, რომელზეც მოსარჩელე მიუთითებდა. აქედან გამომდინარე ნაცვლიშვილი ფიქრობს, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირი კი არა, ჩვეულებრივი აპოლიტიკური თანამდებობის პირიც რომ გაეყვანათ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და მასზე მორალური ზეწოლა მოეხდინათ სხვა საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად, ევროპის სასამართლო მე-18 მუხლის დარღვევას დაადგენდა. **„ამიტომ მე ამ გადაწყვეტილებაში ვერ ვნახე, სად აკეთებს სასამართლო მითითებას იმაზე, რომ ეს იყო პოლიტიკურად მოტივირებული დაკავება. ბუნებრივია, ჩვენ არ უნდა შეგვექმნას იმის ილუზია, რომ სასამართლო პირდაპირ ჩაწერდა და ვინმეზე იტყოდა, რომ ის არის პოლიტიკური პატიმარიო, მაგრამ გადაწყვეტილებაში ნათლად ჩანს, რომ მე-18 მუხლის დარღვევა მხოლოდ და მხოლოდ ამ ფაქტობრივი გარემოების გამო ხდება“,** — ამბობს ანა ნაცვლიშვილი

მისივე თქმით, ძალიან ცუდია, რომ საქართველოში ისეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი, რომელზეც ადამიანის უფლებათა სასამართლო საუბრობს. ეს სათანადოდ აქვს შეფასებული სასამართლოს და სწორედ ამიტომ ადგენს ის მე-18 მუხლის დადგენას.

კითხვაზე, „სხვა მიზნებში“, რომელსაც იგი თვითონ ახსენებს, ხომ არ იმალება პოლიტიკური მოტივაციის შემადგენელი, რომელსაც სასამართლო პირდაპირ არ ამბობს ისე როგორც არ საუბრობდა ლუცენკოს და ტიმოშენკოს საქმეებზე უკრაინაში, ნაცვლიშვილი პასუხობს: **„სასამართლო არ გააკეთებდა ჩანაწერს და არ იტყოდა, რომ ესა თუ ის ადამიანი არის პოლიტიკური პატიმარი, მაგრამ აქ პოლიტიკური ნიშანი არ იკითხება. რა თქმა უნდა, იმ ადამიანებს, ვისაც ამ ნიშნის წაკითხვა სურთ, სასამართლო ამას ვერ დაუშლის“.**

ასე რომ, პოლიტიკური სპეკულაცია მერაბიშვილის საქმეზე უნდა დასრულდეს. მით უფრო — ჩვენ გვახსოვს „გირგვლიანის საქმეზე“ სტრასბურგში გამოტანილი გადაწყვეტილება, რაზეც ნაციონალები დუმდნენ. არადა, სწორედ ეს საქმე მიუთითებდა იმაზე, რომ სააკაშვილის რეჟიმი იყო ამაზრზენი და სისხლიანი, რაშიც მერაბიშვილს ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის. ამიტომაც, დამნაშავეა თუ არა მერაბიშვილი? — ეს კითხვა უსაფუძვლო და მიუღებელიც კია დღევანდელ საქართველოში...

**ნია ფიფია**



## ნატო აღმოსავლეთ ევროპაში ოთხ ბატალიონს განათავსებს

ნატოს თავდაცვის მინისტრებმა ბრიუსელში გამართული ნატოს თავდაცვის მინისტერიალზე აღმოსავლეთ ევროპაში, პოლონეთსა და ბალტიის ქვეყნებში ბატალიონების განთავსებას მხარი დაუჭირეს. ოთხი ბატალიონი პოლონეთში, ლატვიაში, ლიტვასა და ესტონეთში განთავსდება. თითო ბატალიონის შემადგენლობაში ათასამდე სამხედრო იქნება. შესაბამისი გადაწყვეტილება ალიანსმა რუსეთის შესაკავებლად მიიღო — **„თუ ალიანსის რომელიმე მოკავშირეზე განხორციელდება თავდასხმა, პასუხს მთელი ალიანსი გასცემს“,** — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა. მისივე თქმით, ნატოს რუსეთთან კონფრონტაცია არ სურს.

## დროა, მორჩეს სპეკულაცია მერაბიშვილის საქმეზე

**პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას განცხადებით, სტრასბურგის სასამართლოს არ უთქვამს, რომ ვანო მერაბიშვილი უკანონოდ დააკავეს ან ის, რომ მერაბიშვილი პოლიტიკური პატიმარია.** დეპუტატის თქმით, სტრასბურგის სასამართლომ ჩათვალა, რომ მერაბიშვილის მიმართ წინასწარი პატიმრობის გამოყენება და ამ პატიმრობის ვადის გაგრძელება კანონიერი იყო. **„რადგან სტრასბურგის სასამართლომ ჩათვალა, რომ მისთვის საკმარისი არ იყო მასალები, რომელიც უკავშირდება ვანო მერაბიშვილის განცხადებას, თითქოს და, მისი საკნიდან გაყვანის თაობაზე, ჩვენ საგამოძიებო ორგანოებს ამ ფაქტზე დამატებითი გამოძიების ჩატარება და შედეგების სტრასბურგის სასამართლოსთვის მიწოდება უნდა დავავალოთ. შეიძლება მოხდეს ყველა მოწმის დაკითხვა და ინფორმაციის გადამოწმება. სპეკულაცია, რომ სტრასბურგის სასამართლოს მიერ კონვენციის მე-18 მუხლზე მითითება პოლიტიკური პატიმრის სტატუსის განსაზღვრას ნიშნავს, უნდა დასრულდეს“,** — აცხადებს ეკა ბესელია.

## პუტინის აგრესია საქართველოსა და უკრაინაში არ მოხდებოდა, ისინი რომ ნატოს წევრები ყოფილიყვნენ

შესაბამისი განცხადება აშშ-ის კონგრესის ქვედა პალატაში კონგრესმენმა ნიუ-იორკის შტატიდან, ელიოტ ენგელიმ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სხდომაზე გააკეთა, სადაც განხილვის მთავარი თემა იყო შეერთებული შტატების პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში.

**„რომ დავუბრუნდეთ 2008 წელს, ვფიქრობ, დაშვებული იყო სტრატეგიული შეცდომა, რომ ნატომ არ მიიღო უკრაინა და სხვათა შორის, საქართველო. მე ვიცი, ბუშის ადმინისტრაცია აცხადებდა, რომ ცდილობდა, როგორმე ეს გაეკეთებინა, მაგრამ გერმანელებმა და ფრანგებმა დაბლოკეს. ჩემი აზრით, პუტინის აგრესია ამ ორ ქვეყანაში არ მოხდებოდა, ისინი რომ ნატოს წევრები ყოფილიყვნენ. ჩვენმა არასაკმარისმა ძალისხმევამ, მიგვეღო საქართველო და უკრაინა ნატოში, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახადა მათი შემოსვლა ალიანსში, მომავალში. ვფიქრობ, ეს დრო დავკარგეთ,“** — განაცხადა ელიოტ ენგელიმ, რომლის ციტატის თარგმანსაც „რუსთავი-2“ ავრცელებს.

## მხარს გვიჭერენ, მაგრამ ვიზალიბერალიზაციას არ გვაძლევენ

**კრიმინალის პრობლემა, ჩვენდა სამარცხვინოდ, არსებობს, მაგრამ ეს არ არის ვიზალიბერალიზაციის საკითხის გადადების მიზეზი,** — განაცხადა გერმანიაში საქართველოს ელჩმა ლადო ჭანტურიამ.

მისი თქმით, გერმანია მხარს უჭერს საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის შემოღებას.

**„საქართველოს და გერმანიის ურთიერთობა ბოლო წლებში განსაკუთრებული დინამიკით გამოირჩევა. ჩვენ ყველა საკითხში გვაქვს გერმანიის აბსოლუტური მხარდაჭერა, მათ შორის, ვიზალიბერალიზაციის საკითხში და იმედი მაქვს, რომ შეხვედრების დროს ეს კიდევ უფრო აშკარად და ხელმისაწვდომად გაჟღერდება ჩვენი მოსახლეობისთვის. ვიზალიბერალიზაციის საკითხის გადადება არ უკავშირდება მხოლოდ საქართველოს, არსებობს შიდაპოლიტიკური საკითხები გერმანიაში, ზოგ სხვა წევრ სახელმწიფოში და ამ საკითხების გადაწყვეტასთან არის დაკავშირებული.**



**საქართველომ ვიზალიბერალიზაციის საკითხში ყველა საშინაო დავალება უმაღლეს დონეზე შეასრულა. ეს აღიარებულია შენგენის წევრი ყველა სახელმწიფოს, მათ შორის, გერმანიის მიერ. ასე რომ, ამ საკითხის გადადება საქართველოს ბრალით არ ხდება. კრიმინალთან დაკავშირებული პრობლემა არსებობს, მაგრამ ეს პრობლემა არ არის ამ საკითხის გადადების მიზეზი“,** — განაცხადა ლადო ჭანტურიამ.

◉ წაგებული ბრძოლის „მოგება“ შეუძლებელია!

# როდესაც დანაშაულთან ბრძოლის სისტემაში ხარვეზია, ეს თავად არის დანაშაული...

**„ყველას გვახსოვს საჯაროდ ნათქვამი ფრაზა — „ორი გვამი მჭირდება“. ეს ფრაზა ბევრი ქართველისთვის წყვეტს იმ საკითხს, არის თუ არა მერაბიშვილი დამნაშავე“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე, რომლის განცხადებით, მერაბიშვილის ადვოკატის განცხადების მიუხედავად, მოსახლეობას ეს ორი ფრაზაც ეყოფა შინაგანი განაჩენის გამოსატანად.**

**დღეს რამაზ საყვარელიძე** გვესაუბრება.

**— სტრასბურგის სასამართლო არ ამბობს, რომ ვანო მერაბიშვილი პოლიტპატიმარია, მაგრამ საუბრობს ხარვეზებზე, რომელიც დაშვებულია ხელისუფლების მიერ. ვინ არის პასუხისმგებელი თუნდაც ამ ხარვეზებზე, რომელზეც საუბარია ამ გადაწყვეტილებაში?**

— გაგახსენებთ, რომ იმ პერიოდში, როდესაც პასუხისგებაში მიეცა ვანო მერაბიშვილი, საკმაოდ არეული იყო სამართლდაცვითი სისტემა. გახსოვთ, რომ რამდენჯერმე შეიცვალა მთავარი პროკურორი და, რა თქმა უნდა, იქნებოდა ხარვეზები. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ისეთი დამაჯერებელი სახე ვერ მიიღო სამართალდამცავთა სისტემამ, რომ გვქონდეს განცდა იმისა, რომ მისი ყველა ნაბიჯი გამართულია.

რაც შეეხება პოლიტიკურ პატიმრობას, შორს არ წავალ, ყველას გვახსოვს საჯაროდ ნათქვამი ფრაზა — „ორი გვამი მჭირდება“. ეს ფრაზა ბევრი ქართველისთვის წყვეტს იმ საკითხს, არის თუ არა მერაბიშვილი დამნაშავე. რამდენიც არ უნდა იძახოს მისმა ადვოკატმა, რომ პოლიტიკური პატიმარიაო, ამ შემთხვევაში მოსახლეობას ეს ორი ფრაზაც ეყოფა შინაგანი განაჩენის გამოსატანად.



ევროსასამართლო არ ამბობს, რომ მერაბიშვილი უკანონო პატიმარია, მაგრამ სახელმწიფოს კომპენსაციის გადახდა უწევს ორი გვამის მომთხოვნი ადამიანისთვის. ეს გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ საგამოძიებო უწყებამ ადეკვატურად ვერ იმუშავა მერაბიშვილთან მიმართებაში და არა მარტო მერაბიშვილთან, ჩვენ გვაქვს საფრანგეთის სასამართლოს განაჩენი დავით კეზერაშვილთან, ხოლო საბერძნეთისა დავით ახალაიასთან დაკავშირებით...

**— გეთანხმებით. თქვენ უფრო დეტალურად ჩამოაყალიბეთ საქმის არსი. იმ საქმეებიდან გამომდინარე, სადაც საგამოძიებო უწყებამ ვერ მოახერხა დასავლეთისთვის დამაჯერებელი მტკიცებულებების წარდგენა, ჩნდება განცდა იმისა, რომ ეს სისტემა დღემდე ვერ მუშაობს გამართულად.**

**— ეს მხოლოდ გაუმართაობის პრობლემაა?**

— არა, რა თქმა უნდა. როდესაც დანაშაულთან ბრძოლის სისტემაში ხარვეზია, ეს თავად არის დანაშაული. ამას ვსაყვედურობ დღევანდელ ხელისუფლებას, რომ თვითონ სამართალდამცავი უწყების მიმართ გამოიჩინა სირბილე და ლოიალურობა. გავიხსენებდი იმ ცნობილ ფრაზას, რომ **„ყველა მსხვერპლია ერთი ადამიანის გარდა“,** — ეს არ არის სწორი მიდგომა. როდესაც ასეთი დამოკიდებულებაა და სისტემაში რჩებიან ის პირები, რომლებიც მხოლოდ იმიტომ, რომ მათი კვალი არ გამოჩნდეს, საქმეს ტოვებენ გამოუძიებელს, ან უხარისხოდ ამუშავებენ, ეს სისტემის ხარვეზია. ერთ ხარვეზს, ავტომატურად მოჰყვება ხარვეზების მთელი სისტემა. მთელ ქვეყანას უწევს კომპენსაციის გადახდა მხოლოდ იმიტომ, რომ შევქმენით მსხვერპლადქცეული სამართალდამცავების რომანტიული სურათი. სამართალი ერთნაირად უნდა ჭრიდეს. თუ ვინმეს პატიება უნდათ, ამისთვის არსებობს შესაბამისი კომისია და პრეზიდენტის ნება, მაგრამ თვითონ სასამართლომ და სამართალდამცავმა უწყებამ ხარისხიანად უნდა იმუშაოს.

**— სტრასბურგის გადაწყვეტილებაში სიტყვა პოლიტპატიმარი ნახსენები არ არის, თუმცა, ამის მიუხედავად „ნაციონალური მოძრაობა“ ამბობს, რომ მერაბიშვილი პოლიტპატიმარია. ბატონო რამაზ, რისთვის ხდება სიცრუის ტირაჟირება — თუ დასავლეთისთვის, ვნახეთ, რომ დასავლეთი არ ამბობს პოლიტიკური პატიმარიაო. ამ შემთხვევაში სამიზნე ხომ არ არის ქართული საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვს გადაწყვეტილი, ვის სასარგებლოდ გააკეთებს არჩევანს?**

— მოტივი არის ორივე, ქართული საზოგადოება და დასავლეთი. მაგრამ ქართველი ამომრჩეველი, რომელიც კრიტიკულად არის განწყობილი მერაბიშვილის ფიგურისა და ნაციონალების მიმართ, ძახილი, რომ სტრაბურგმა პოლიტპატიმრად მიიჩნია მერაბიშვილი, არაფრისმთქმელი არ იქნება. მით უმეტეს მედიამ არ მისცა ამ ტყუილის ტირაჟირების საშუალება და ჟურნალისტებმა ცხადი გახადეთ, რომ ტექსტში ამ მიმართულებით მსჯელობა გაშლილი არ არის. ამ განცხადებით ხდება მომხრეების კონსოლიდაცია და გააქტიურება.

**— ანუ, ესეც პიარის ნაწილია, როდესაც წაგებულ ბრძოლას, მოგებულად აცხადებს „ნაციონალური მოძრაობა“ და ამის მაგალითია 2008 წლის აგვისტოს ომი. ამ შემთხვევაშიც იგივე სცენარია, არასად არ ჩანს მერაბიშვილის გამარჯვება, მაგრამ ამბობენ, რომ გაიმარჯვა?**

— კარგი და სწორი ანალოგი გააკეთეთ, მათი პოლიტიკური სტილი ყოველთვის ამდაგვარი იყო. მარცხზე არ ლაპარაკობენ. არ ამბობენ, რამე შეგვეშალაო, ყოველთვის გამარჯვებულის პოზაში არიან. ეს მათი სტილია.

**— ამომრჩეველთა მოსყიდვა, ქონების მითვისება და თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება — ამ ბრალდებით არის გასამართლებული ვანო მერაბიშვილი, რამდენად ადეკვატურია სასჯელის ეს ნაწილი? ამ შემთხვევაში ადგილი გვაქვს მთავარ პრობლემასთან — არაკვალიფიციურობასთან, თუ საბოტაჟთან?**

— ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ პრეზიდენტს რუზველტს მაფიოზური ქვეყანა დახვდა. მაფია იყო გამეფებული, დანაშაულში ჩართული იყო სამართალდამცავი სისტემა. ასეთი ქვეყანა შემოატრიალა ამერიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა. შექმნა 12-კაციანი საგამოძიებო ჯგუფი, რომელსაც ენდობოდა და ამ ჯგუფმა დაიწყო სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიება. ამ ტიპის სამუშაო თუ არ გაკეთდა და სამართალდამცავი სისტემა არ გასუფთავდა ფორმიანი დამნაშავეებისგან, არაფერი არ გამოვა.

რუზველტს, რომელსაც ნამდვილად ვერ ასწავლიდი დემოკრატიას, არაფერი არ გამოუვიდა და მით უმეტეს ჩვენ გაგვიჭირდება გამოსვლა ასეთი სისტემიდან. სააკაშვილის რეჟიმს ჰქონდა ეს თავისებურება, რომ ის ტოტალური იყო ამ ქვეყნის მასშტაბით, ანუ ყველა სტრუქტურას თავისი კადრებით აკომპლექტებდა. ასე რომ, თუ ეს გამოცდილება არ გაიაზრეს და შესაბამისი ნაბიჯები არ მოიფიქრეს, მაშინ ბევრი იქნება ასეთი საბოტაჟის მაგვარი, უნებლიე თუ მიზანმიმართული შეცდომები.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

◉ ფსიქოლოგიური ომი



# არამზადების ჩარბუზანა

**თეა წულუკიანის განცხადებით ინტერნეტ სივრცეში პირადი ცხოვრების ამსახველი ახალი ვიდეომასალის გავრცელება „ნაციონალურ მოძრაობას“ უკავშირდება.** წულუკიანის მტკიცებით, წინა ხელისუფლების დროს გადაღებული კადრები მათივე ძალისხმევით, ხელიდან ხელში გადადიოდა. მინისტრი ამბობს, რომ საჭიროა ფაქტებზე მყისიერი რეაგირება, თუმცა მისივე განმარტებით, ახალი ტექნოლოგიების ხანაში მისი სწრაფ ვადებში აღმოფხვრა რთულია.

**„ის, რომ 9 წლის განმავლობაში დაგროვებული, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ფარულად ჩაწერილი სიბინძურე ქვეყნიდან არის გატანილი, ან არ არის გატანილი, მაგრამ მათივე დამსახურებით, მათივე ძალისხმევით, ხელიდან ხელში გადადიოდა, ამას, რა თქმა უნდა, სჭირდება ყოველ კონკრეტულ საქმეზე მყისიერი რეაგირება, გამოძიება, მაგრამ ახალი ტექნოლოგიების ხანაში ჩვენ არ გვაქვს ილუზია, რომ ბოლომდე, მოკლე ვადაში მათი ეს ქმედებები იქნება აღმოფხვრილი“,** — განაცხადა თეა წულუკიანმა.

როგორც ცნობილია, 12 ივნისს, დაახლოებით 21 საათზე კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალისტის ლუკა ფეიქრიშვილის სოციალური ქსელის პირად გვერდზე უცნობმა პირმა საზოგადოებისთვის ცნობილი სახეების პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოკადრები ატვირთა. როგორც ფეიქრიშვილი აცხადებს, მასალას თან ახლდა მუქარის შემცველი ინფორმაცია, რომელიც მოუწოდებდა კონკრეტულ პირებს, რომ დარჩნენ ჩრდილში და არ უნდა მოახდინონ საზოგადოებისთვის ტვინის გამორეცხვა. გავრცელებული ინფორმაციით, გუშინ გავრცელებული კადრები ახალი არ არის. საუბარია იმ კადრებზე, რომელიც რამდენიმე თვის წინ გავრცელდა.

ინტერნეტ სივრცეში პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოკადრების გავრცელებასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა მთავარმა პროკურატურამ. უწყებაში განმარტავენ, რომ ახალი კადრები არ გავრცელებულა. პროკურატურაში ასევე აღნიშნავენ, რომ მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები, ანუ ვის მიერ მოხდა აღნიშნული ვიდეოების ატვირთვა და საიდან. გამოძიება გრძელდება სსკ-ს 157-ე მუხლით. რაც თავის მხრივ მოიცავს ბოლო პერიოდში პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოკადრების უკანონოდ მოპოვების, შენახვისა და ინტერნეტ-სივრცეში გავრცელების ფაქტების გამოძიებას.

მაშ ასე, ინტერნეტ სივრცეში პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები ისევ ვრცელდება. ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ წინ რთული წინასაარჩევნო პროცესი გველოდება და დაპირისპირების კვალდაკვალ იქნება კომპრომატების ომი. საარჩევო კამპანიის დაწყებოდან 5 დღეში პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გამოქვეყნება ხელისუფლების დისკრედიტაციის კარგი საშუალებაა.

იურისტი ლევან ალაფიშვილი ამბობს, რომ დღეს უკვე შეუძლებელია ამ დანაშაულის აღკვეთა და არ გამოვრიცხავ, რომ ხელისუფლებასთან კავშირში მყოფი პირები იჩენდნენ ინტერესს და მანიპულირებისთვის იყენებდნენ ამ ჩანაწერებს. მისივე თქმით, ეს არის ფსიქოლოგიური ომის ნაწილი და მით უმეტეს წინასაარჩევნოდ.

**„ჯერ სად ვართ! არ გამოვრიცხავ, რომ უფრო მძიმე კადრებიც არსებობდეს. არ გამოვრიცხავ, რომ მმართველი ძალის შიგნით შიდა პოლიტიკური ბრძოლის ნაწილიც იყოს. ამ ყველაფერზე, როგორც გამოქვეყნებაზე და შემდგომ მის გამოუძიებლობაზე ვინ არის დღეს პასუხისმგებელი? — რა თქმა უნდა, პრემიერ-მინისტრი. სწორედ ამ კონტექსტში განვიხილავ კადრების გავრცელებას. რადგან, კვირიკაშვილის წარუმატებლობა სხვა ძალის გამარჯვების საწინდარი შეიძლება იყოს.**

**მითუმეტეს, რომ ბოლო პერიოდში ვხვდებით განცხადებებს ვიღაცის ტრიუმფალური დაბრუნების შესახებ და ა.შ. შესაბამისად, ამ კონტექსტში განვიხილავ, სხვა ლოგიკა ამ შემთხვევაში არ არსებობს. ეს არის მიზანმიმართული კამპანია, რომელსაც შეძლება მოჰყვეს პრემიერ-მინისტრის დისკრედიტაცია. პრემიერმა თავად აღნიშნა, რომ გამოძიებული იქნება და უმკაცრესად მოხდება იმ პირების დასჯა, ვის მიერაც მოხდა კადრების გავრცელება და რომ, არ დაუშვებენ მსგავსი კადრების გავრცელებას, ამ განცხადების შემდეგ ისევ ხდება კადრების გავრცელება. ვფიქრობ, რომ ძალიან მარტივი პოლიტიკური თამაშია“,** — აცხადებს ლევან ალაფიშვილი.

პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილის განმარტებით, ქვეყნის უბედურებაა, როდესაც ასეთ არაკაცურ ქმედებაზე ხელი მიუწვდებათ სრულიად მახინჯი ცნობიერების მქონე ადამიანებს, ხოლო მათი გამოვლინებაც ასეთივე ადამიანების ხელშია, რის გამოც არავინ გამოვლენილა.

**„ყოველი ასეთი ქმედება ვნებს ქართულ სახელმწიფოს. მე შემიძლია მხოლოდ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გაცნობოთ, რომ ეს არ გახლავთ ჯანმრთელი ფსიქიკის ადამიანის სურვილი. დიდი პატივია ამ არამზადებისთვის მათი არაკაცურ ქმედებაზე კომენტარისთვის დროის ხარჯვა. რასაკვირველია, ვისი სამსახურებრივი მოვალეობაა, რომ ასეთი დანაშაული არ ხდებოდეს ქვეყანაში, უკეთეს შემთვევაში უნდა შევთავაზოთ რიგითი პენსიონერობა, ან კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, სულ ცოტა სამსახურებრივი მოვალეობის მიმართ გულგრილი დამოკიდებულება, რაც დასჯადია“,** — ამბობს სოსო ცისკარიშვილი.

**თამარ ქარჩაიძე**

**ქვეყნის უბედურებაა, როდესაც ასეთ არაკაცურ ქმედებაზე ხელი მიუწვდებათ სრულიად მახინჯი ცნობიერების მქონე ადამიანებს, ხოლო მათი გამოვლინებაც ასეთივე ადამიანების ხელშია, რის გამოც არავინ გამოვლენილა.**

# გრანტიჭამიები აშკარა იერიშზე გადმოდიან!

## ვის სურს საქართველოში მოძალადური იდეებით ბრძოლა?



**ფული სხვადასხვა ხერხით შეიძლება გამოიმუშაო. მაგალითად, წახვიდე ქარხანაში მუშად. მაგრამ თუ არ გინდა? მაშინ ბიზნესს მოჰკიდე ხელი, წაბრძანდი ბანკში მენეჯერად, თუ მიგიღებენ. ანდა გახსენი საშენი მასალების „ფარდული“ თბილისში ელიავას ქუჩაზე! ბოლოს და ბოლოს, შეიძლება წახვიდე პოლიტიკაში. მაგრამ უმჯობესია , დააარსო არასამთავრობო ორგანიზაცია, იგივე „ენჯეო“ (წარმოებულია nongovernmentalogazation-ისგან) — ინგლისურ ყაიდაზე.**

**გახსოვთ ერთ-ერთი ძველი საბჭოთა ანეკდოტი? „უმაღლესი სასწავლებლის ახალგაზრდა კურსდამთავრებულს ეკითხებიან: „რას გააკეთებ დიპლომის მიღების შემდეგ?“ — „აი, ვაპირებ მოვაწყო პატარა კერძო რაიკომი“, — პასუხობს ყოფილი სტუდენტი“.**

**ანალოგია აქ ძნელი მისახვედრი არაა: გახსნა საკუთარი პატარა არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოში — არია იმავე ოპერეტიდანაა!**

ისე კი, მოდით, ხუმრობა გვერდზე იყოს. საქართველოში შექმნილია და ნაყოფიერად მუშაობს უამრავი არასამთავრობო ორგანიზაცია. რას არ აკეთებენ — ეწევიან იურიდიული ცოდნის პროპაგანდასაც, ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს იცავენ, გენდერულ პრობლემებსაც განიხილავენ... ვინ ჩამოთვლის, რამდენი სასარგებლო საქმე გაკეთდა უკანასკნელ წლებში.

ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია სინჯავს თავის ძალებს, როგორც ადრე იტყოდნენ, იდეოლოგიურ ასპარეზზე. საქართველომ, როგორც ცნობილია, აირჩია განვითარების ევროპული გზა და ცდილობს, განუხრელად მისდიოს მას. მაშასადამე, საჭიროა, პროპაგანდა გავუწიოთ ევროპულ ღირებულებებს, ჩავუნერგოთ ისინი ადამიანს შეგნებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ღმერთმა დაგვიფაროს, ის სხვა მიმართულებით გაფრინდება. და სასიხარულოა, რომ დასავლელი პარტნიორები ამ მიზნით არ ზოგავენ ფინანსურ რესურსებს, ყოველმხრივ ახალისებენ და მხარს უჭერენ ამგვარი „ენჯეოების“ საქმიანობას.

ამ საქმიანობაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მიმართულება, რომელსაც უხვად აფინანსებენ დასავლელი პარტნიორები, არის დაპირისპირება რუსულ პროპაგანდასთან. ვერაფერს იტყვი, ეს სერიოზული საქმეა, ყოველ შემთხვევაში, სხვაზე უარესი არაა. თუ რაიმეში არ ეთანხმებით, თუ ვინმე თქვენი თანდასწრებით აჟღერებს იდეებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან თქვენს რწმენასა და წარმოდგენებს იმის შესახებ, თუ რა არის კარგი და რა არის ცუდი, მაშინ, როგორც ამბობენ, — იმუშავეთ, მოიფიქრეთ რამე, მოსინჯეთ. ღმერთია შემწე! ხომ კარგადაა ცნობილი: ჭეშმარიტება ღია, კონკურენტულ ბრძოლაში იკვალავს გზას.

**რა არგუმენტები შეიძლება დავუპირისპიროთ დღევანდელ რუსულ პროპაგანდას? რაც და როგორიც გინდა! თუ ეს არის სამუშაო, რისთვისაც ფულს გიხდიან, თანაც გიხდიან საკმაოდ უხვად, ნება იბოძეთ, დაბრძანდეთ და დაფიქრდეთ, როგორ შეასრულოთ იგი უკეთესად! იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ ამგვარი საქმიანობა თავმოყვარე ადამიანისთვის — ესაა შესაძლებლობა, გამოიჩინო თავი, წარმოაჩინო ცოდნა, თვალთახედვა, დაიმკვიდრო თავი, ბოლოს და ბოლოს. სწორედ ასე უნდა მიმდინარეობდეს იდეების, ჩანაფიქრების, პროექტების, შესაძლებლობების შეჯიბრება. „თქვენ მე ერთს მიმტკიცებთ, მე კი, ჩემი მხრიდან, სხვა რამეს ვამტკიცებ!“ — აი, პრინციპში, ასე უნდა იგებოდეს ურთიერთობანი პროპაგანდასა და კონტრპროპაგანდას შორის.**

მაგალითებისთვის შორს წასვლა არაა საჭირო. ამ ცოტა ხნის წინათ ფრანგულ არხზე „არხი+“ პროგრამა Le Petit Journal-ის ჟურნალისტები ამოწმებდნენ ფაქტებს, რომლებზეც საუბარი იყო დიმიტრი კისელიევის ერთ-ერთ გადაცემაში მოსკოვის ტელეარხზე, „როსია 24“, და ბრალი დასდეს გადაცემის ავტორებს ამ ფაქტების დამახინჯებაში. ეს გაკეთდა ოსტატურად, მოკლე ათწუთიანი პროგრამისთვის „კვირის ახალი ამბები“. ბრავო!

მაგრამ ასე შეუძლიათ იმოქმედონ მხოლოდ პროფესიონალებმა, რომლებსაც სურთ და შეუძლიათ კიდეც მუშაობა, ვისაც არ ეზარება ხელფასის გამომუშავება. მაგრამ ვიღაცას ხომ ეზარება მისი გამომუშავება? არიან ადამიანები, რომლებსაც უნდათ ბევრი, სწრაფად და მუქთად! არსებობს კი ასეთი ხერხი? დიახ, არსებობს, და იგი შეიძლება მოკლედ გამოვხატოთ სიტყვებით: „შევაჩეროთ, არ დავუშვათ, ავკრძალოთ!“ ამ ცოტა ხნის წინათ საინიციატივო ჯგუფმა, რომელიც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისა და ექსპერტებისგან შედგებოდა, მიმართა საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს, პრემიერ-მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს, პარლამენტის სპიკერს დავით უსუფაშვილსა და კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეს ვახტანგ აბაშიძეს მოწოდებით... აკრძალონ რუსული ტელეარხები საქართველოში.

საინიციატივო ჯგუფმა მოითხოვა, „მოახდინონ რუსეთის სახელმწიფო პროპაგანდის ინსტრუმენტების იდენტიფიცირება რუსული ტელეპროდუქციის ანალიზის გზით“ და არახელსაყრელი ტელეარხები „გაუყენონ“ თავიანთ გზას.

კომუნისტური აკრძალვითი მეთოდოლოგიის საუკეთესო ტრადიციებით, მიმართვის ავტორებს მოჰყავთ ასეთი არგუმენტები:

**„ჰიბრიდული ომის სტრატეგიის ერთ-ერთი ცენტრალური კომპონენტია საინფორმაციო ომი საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ, რომლის მთავარი მიზანიც მოსახლეობის დასავლეთისადმი და ევროატლანტიკური სტრუქტურებისადმი ნეგატიური და ნიჰილისტური დამოკიდებულების ფორმირებაა“.**

აი, რაშია საქმე! ის „ენჯეოელები“, ვისაც ფულს უხდიან, მოსახლეობის ევროპისა და ევროატლანტიკური სტრუქტურებისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირებისათვის და უნიჭოდ ჩაშალეს თავიანთი მუშაობა, ახლა გონს მოეგნენ და ... გადაწყვიტეს დახმარებისთვის მოუხმონ ყოვლისშემძლე სახელმწიფო სტრუქტურებს. მიმართვის ავტორები განგაშს ტეხენ: **„ცხადზე უცხადესია, რომ რუსული პროპაგანდა საქართველოში ცდილობს, შექმნას ისეთი საზოგადოებრივი განწყობილება, რომელიც მისცემს მას შესაძლებლობას, მართოს პოლიტიკური პროცესები საზოგადოებრივ აზრზე გავლენის გზით“.**

მიმართვაში ჩამოთვლილია რუსული არხები, რომლებიც, წერილის ინიციატორების აზრით, წარმოადგენენ კრემლის იარაღს საინფორმაციო ომში და დაუყოვნებლივ უნდა დაიხურონ. ესენია „პირველი არხი“, „რტრ-პლანეტა“, „როსია-24“, „ენ-ტე-ვე“, „მირი“, „როსია 1“, „ტე-ენ-ტე“, „პეტერბურგ 5“, „ზვეზდა“, „რენ-ტე-ვე“, „რუსია ტუდეი“... ერთი სიტყვით, როგორც მკითხველმაც გაიაზრა, საკითხი შეეხება პრაქტიკულად რუსეთის ყველა ტელეარხს.

რასაკვირველია, გზავნილის ავტორებს პირდაპირ უნდა ეთქვათ, რომ თავად მათაც უჭირთ, დაუპირისპირდნენ არახელსაყრელ პროპაგანდას და რომ ისინი უბრალოდ უუნარონი არიან, დარტყმაზე დარტყმითვე უპასუხონ. მაგრამ ასეთი სიტყვები საკუთარი უსუსურობისა და უნიჭობის ღია აღიარება იქნებოდა. გაცილებით მარტივია მიუთითო სხვა ქვეყნების „გამოცდილებაზე“. თანაც, რა თქმა უნდა, არავის მოსვლია თავში, მაგალითად მოეყვანა საფრანგეთის გამოცდილება — ვთქვათ, იმავე ტელეარხისა „არხი+“. მიმართვის ავტორებს გაცილებით ბევრად უფრო მეტად სიმპათიურად მიაჩნიათ უკრაინის გამოცდილება: **„ამ არხების ტრანსლაცია უკვე აკრძალა უკრაინის ტელემაუწყებლობის ეროვნულმა საბჭომ მას შემდეგ, რაც შესაბამისმა ანალიზმა აჩვენა, რომ ეს არხები ხელს უწყობდნენ სახელმწიფოში უწესრიგობასა და დაპირისპირებას“**... აი, თურმე, როგორ ყოფილა საქმე: ეს რუსულმა არხებმა მოაწყვეს მაიდანის რევოლუცია უკრაინაში 2014 წელს. განა არ არის სასაცილო?

დაბოლოს, ყველაზე „რკინისებური“ არგუმენტი:

**„მიგვაჩნია, რომ უკრაინული აკრძალვის შემოღება განსაკუთრებით აუცილებელია სწორედ დღეს, როდესაც ღია თავდასხმები ქართულ დამოუკიდებელ და პროდასავლურ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე ამომრჩეველს უფრო დაუცველს ხდის რუსული პროპაგანდის წინაშე“,** — ნათქვამია მიმართვაში.

აღსანიშნავია, რომ სამთავრობო „არეოპაგი“ ჯერ მხოლოდ განიხილავს „ენჯეოს“ „რეკომენდაციას“, მას კი უკვე გამოეხმაურა მონოპოლისტი სატელევიზიო ბიზნესში — საკაბელო ტელევიზია „სილქნეტი“, რომელმაც 1 ივნისიდან შეწყვიტა საქართველოში ტელეარხების „როსია ტუდეის“ და „როსია-24“ ტრანსლაცია. და, როგორც ჩანს, ეს მხოლოდ დასაწყისია.

ბრავო! — ტაშს უკრავს ამ მოძალადურ-გადაწყვეტილებას ნიკა რურუა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ექს-მინისტრი სააკაშვილის მთავრობაში, თუმცა თავადაც არ იცის, რასთან შეუძლია ამან მიგვიყვანოს:

**„ასევე კითხულობენ — რას მოგვცემს ეს ჩვენ? — სვამს შეკითხვას რურუა და უმალვე უპასუხებს. — სანამ არ ავკრძალავთ — ვერ გავიგებთ. როგორც მინიმუმი — გავურთულებთ ოკუპანტს ტვინების გამორეცხვას“.**

ვერაფერს იტყვი — ელოდო ყოფილი „მხედრიონელისაგან“ რაიმე სხვას, გასაკვირი იქნებოდა. მას იგივე მოტივები აქვს, რაც საინიციატივო ჯგუფს, რომელმაც ხელი მოაწერა მიმართვას: გავურთულოთ ტვინების გამორეცხვა რუსულ და გავუადვილოდ ტვინების გამორეცხვა დასავლურ პროპაგანდას, რომელიც უკვე დიდი ხანია, აკეთებას ამას საქართველოში. ერთი სიტყვით, მიეცეს მას ყველაფერში კარტ-ბლანში (განუსაზღვრელი რწმუნებულებანი!), ჩვენთვის კი უზრუნველვყოთ ფუფუნებითი ცხოვრება. ამის შესახებ ლაპარაკობდა თბილისში ოჯახის დაცვის ამასწინანდელ მსოფლიო კონგრესზე ბიზნესმენი ლევან ვასაძე, რომელმაც ბრალი დასდო ევროპასა და ამერიკას იმაში, რომ ისინი წამლავენ ქართულ ახალგაზრდობას, ასნებოვნებენ მას „აგრესიული ლიბერალიზმით“, საქართველოში დასავლეთის ფულით ამკვიდრებენ ქართველ „ენჯეოშნიკებს“...

**„სიტყვის თავისუფლების ნაცვლად ჩვენს ტელეარხებსა და პრესაში, აგრეთვე საგანმანათლებლო სტრუქტურებში ჩვენ ლიბერალების ტოტალური დიქტატურა მივიღეთ“,** — ამტკიცებს ვასაძე. თანაც, მდგომარეობა, როგორც ჩანს, გამოუვალია: **„თუ რომელიმე ჩვენგანი უცებ გაბედავს ხმის ამოღებას იმ დიქტატურის წინააღმდეგ, რომელსაც ასპონსორებს დასავლეთი — ლიბერალური პოლიტიკოსები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და „ენჯეო“ — უმალვე სდებენ მას ბრალს ჯაშუშობაში და იწყება ყვირილი: „ავკრძალოთ, შევაჩეროთ, არ გავუშვათ!“**

**„ბოლოს და ბოლოს, ვინ არიან ისინი — დასავლური გრანტებით ვითარც საფუარით, აფუებულ-გაზულუქებული, ეს უბიოგრაფიო ადამიანები?!“** — აღშფოთებულია ექსპერტი დავით მხეიძე, რომელიც ეგრეთ წოდებულ „ენჯეოშნიკებს“ უწოდებს გათავხედებულ გაუნათლებლებს, რომლებიც გამოძვრებიან ხოლმე დღის სინათლეზე თავიანთი „რეკომენდაციებით“ და მოითხოვენ პრემიერისგან, სპიკერისგან ან პრეზიდენტისგან ყოველგვარი საბაბითა და უსაბაბოდაც — „გამართონ კონსულტაციები არასამთავრობო ორგანიზაციებთან“...

ჩნდება კითხვა — განა ეს არაა ტვინების ტოტალური გამორეცხვა?! საინფორმაციო ველზე, განა ასეთი სრული ბატონ-პატრონობისთვის არ იბრძვიან საქართველოს ხელმძღვანელობისადმი მიმართვის ინიციატორები — განუყოფელი ბატონობისათვის, რასაც უკვე ვერავინ და ვერაფერი ველარ შეუშლის ხელს?!

**და, დასასრულ, ცოტა სტატისტიკაც: როგორც იგივე დავით მხეიძე ადასტურებს, საქართველოში რუსული ტელეარხების ტრანსლაციის მიღების შესაძლებლობა დღეისთვის აქვს მოსახლეობის მაქსიმუმ ერთ მესამედს, მაშინ, როდესაც მთელი ქვეყანა დილიდან გვიან საღამომდე იძულებულია, უყუროს „რუსთავი-2“-ის, „იმედის“, „ტაბულის“ და სხვა არხების გადაცემებს, რომლებიც დღისითაც და ღამითაც რუსეთს ლანძღავენ. და, ამის მიუხედავად, თუ საქართველოს მოსახლეობა ყურს უგდებს რუსეთის ტელეარხების „სიცრუეს“, რაც „სიმართლეს“ ურჩევნია, და რასაც „რუსთავი-2“ ქადაგებს, იქნებ, ჯობდეს ასეთი მჯობნობის მიზეზები რაღაც სხვა რამეში ვეძებოთ? კვამლი ხომ უცეცხლოდ არ არსებობს... რატომ არ უნდა დაფიქრდნენ ამაზე ჩვენი გრანტიჭამიები?!**



**ვადიმ ანასტასიადი**

გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი



# სომხები რუსული ჯარის გაყვანას ითხოვენ

**სომხეთის საპარლამენტო ფრაქცია „მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე ზარუი პოსტანჯიანის განცხადებით „რუსეთი სომხეთთან დადებული 200 მილიონის ღირებულების იარაღის კონტრაქტის სრულ რეალიზაციაში დაინტერესებული არ არის და რეგიონში ძალთა ბალანსის აღდგენასაც არ განახორციელებს, რადგან რუსეთმა თვითონ დაარღვია ეს ბალანსი, როდესაც აზერბაიჯანს მილიარდი დოლარის ღირებულების შეიარაღება მიყიდა“.**

**მისი თქმით, სომხეთიდან რუსული ჯარი უნდა იყოს გაყვანილი, რადგან მოსკოვი ბაქოსთან მჭიდროდ თანამშრომლობს, იარაღს ყიდის, რითაც აზერბაიჯანის სამხედრო ძალებს აძლიერებს.**

**„ამასთან, რუსეთი ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეა, და ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირებით არის დაკავებული“,-აღნიშნა ოპოზიციონერმა.**



ყინწვისის მონასტრის ფრესკა

როინ მეტრეველი

# შვიდ სამეფოდ განწესებული



## „რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორია“

XI-XII საუკუნეებში მნიშვნელოვან აღმავლობას აღწევს სახვითი ხელოვნება. თუ XI საუკუნის პირველ ნახევარში შეიმჩნევა სკულპტურულობისაკენ სწრაფვა, შემდგომ პერიოდში ეს ინტერესი ნაკლებად ჩანს, რელიეფები იშვიათად გვხვდება ეკლესიათა ფასადებზე. ოქრომჭედლობაში (განსაკუთრებით XII საუკუნეში) წინა პლანზე დეკორატიულობა (ორნამენტი) ჩნდება. ორნამენტულობის თვალნათელი ნიმუშია ხახულის ხატი გელათიდან, რომელიც მსოფლიო ოქრომჭედლობის უნიკალური ნაწარმოებია (თარიღდება XII საუკუნის პირველი ნახევრით). თამარის დროს მოღვაწეობდნენ ოქრომქანდაკებლები **ბექა და ბეშქენ ოპიზარები**. ბექა ოპიზარის შექმნილია წყაროსთავის სახარების ყდა (ჯვარცმისა და ვედრების სცენებით) და ანჩისხატის მოჭედილობა (ღვთისმშობლის, იოანე ნათლისმცემლისა და სხვა წმინდანების ფიგურებითა და ორნამენტული არშიებით). ბეშქენ ოპიზარის ნახელავია ბერთის სახარების ყდა.

XI-XII საუკუნეების საქართველოში ოქრომჭედლობის რამდენიმე სტილი შეიმჩნევა. გვაქვს მთელი რიგი სკოლებისა (ოპიზის, ტბეთის, გელათის), რომლებმაც გარკვეულად დამოუკიდებელი მონუმენტური სახე შეიმუშავეს ხელოვნებაში. ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები არაფრით ჩამოუვარდებოდა ბიზანტიურს, ბევრი მათგანი კი მნიშვნელოვან ადგილს იჭერს მსოფლიო მასშტაბითაც.

XI-XII სს. მნიშვნელოვანი წინსვლა ჩანს ქართული კედლის მხატვრობაში. შემორჩენილია დავით აღმაშენებლის მხატვრის, ე.წ. „მეფის მხატვრის თევდორეს“ მიერ მოხატული სვანეთის ტაძრების: იფრარის „თარნგზელი“ (1096 წ.), კვირიკესა და ივლიტეს ეკლესია (ლაგურკა) კალაში (1111-1112 წწ.), წმ. გიორგისა – ნაკიფარში (1130 წ.) კედლები.

ამ ტაძართა მოხატულობა წარმოდგენას გვაძლევს XI-XII საუკუნეების ქართული მონუმენტური მხატვრობის სტილზე, ფერწერის მანერასა და იკონოგრაფიაზე. დაწვრილებითი განხილვის დროს ნათელი ხდება მხატვრის (და ალბათ ქართული მხატვრობის) შემოქმედების განვითარების დინამიკის, ევოლუციის დანახვა – იფრარის მკაცრი მონუმენტური სტატიკური კომპოზიციიდან და ნახატიდან – ნაკიფარის მეტ დინამიკურობასა და დეკორაციულობამდე.

ზემოხსენებულ **თევდორე** მეფის მხატვრის მიერ შესრულებულ სამ მხატვრობასთან სიუჟეტთა შერჩევით, მათი განაწილებითა და საერთო მიდგომით მეტად ახლოს დგას სოფელ წვირმის მაცხვარიშის ეკლესიის მოხატულობა, სადაც საინტერესო ჯგუფური სცენაა წარმოდგენილი – სვანი ფეოდალები ხმალს აბამენ, ე.ი. მეფედ აკურთხებენ, **დემეტრე პირველს,** ანგელოზი კი გვირგვინს ადგამს თავზე. შედარებითი მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე დაშვებულია შესაძლებლობა თევდორეს მონაწილეობისა ამ ტაძრის მოხატვაში. საერთოდ იმ დროის მონუმენტურ მხატვრობაში თევდორე მეფის მხატვრის დიდი გავლენა შეიმჩნევა. რაც შეეხება მაცხვარიშის ეკლესიის მხატვრობას, მისი უშუალო შემოქმედია XII საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი მხატვარი მიქაელ მაღლაკელი. ამაზე გვაუწყებს შემორჩენილი საქტიტორო წარწერა, სადაც გარკვევითაა მინიშნებული, რომ ეკლესია მოიხატა დემეტრე I-ის მეფობის მეთხუთმეტე წელს (ე.ი. 1140 წელს) „დელითა მიქაელ მაღლაკელისათა“.

ცალკეა აღსანიშნავი ატენის სიონის მოხატულობა, რომელიც XI საუკუნის მიწურულს განეკუთვნება და რომელმაც მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო. ალბათ, მართებულია მოსაზრება, რომ ატენის სიონის მოხატულობა სტილისტური თვალსაზრისით წინ უსწრებს იფრარის მოხატულობას და რომ იგი ლიპარიტ ბაღვაშის მიერ ატენის ქვეყნის დაკარგვის შემდგომაა შესრულებული. ასევე სწორი უნდა იყოს დასკვნები, რომ ატენის სიონის მოხატულობაში დავით IV აღმაშენებელი პირველად აისახა მეფის რანგით. საქტიტორო რიგი (თავში გიორგი მწიგნობართუხუცესი, ხოლო ბოლოში გიორგი II) რეალურად ასახავს შესაბამისი პერიოდის შინაპოლიტიკურ სიტუაციას. საერთოდ ატენის სიონის მოხატულობა XI საუკუნის ქართული მონუმენტური მხატვრობის ერთი შესანიშნავი ძეგლთაგანია. კომპოზიციური დახვეწილობა და მეტყველი ნახატი, შინაგანად ძლიერი სახეები გვაფიქრებინებს, რომ ძეგლი დიდმა ხელოვანმა მოხატა.

XI-XII საუკუნეების საქართველოს მხატვრული ხელოვნებისათვის დამახასიათებელია მოხატულობის მკაცრი მონუმენტურობა. მოხატულობა ჰარმონიულად ეთანხმება ინტერიერის ხუროთმოძღვრულ დანაწევრებას, დიდია ცალკეულ გამოსახულებათა ზომები, მონუმენტურია თვით სცენების აგებულებაც; პროპორციები სწორია, დახვეწილია სახის მოდელირება, სახეები ძლიერი და მეტყველია.

ამ დროის საქართველოში ფერწერის რამდენიმე მიმართულებას გამოჰყოფენ. ერთი ასეთია ტაო-კლარჯეთში ჩამოყალიბებული საზეიმო-მონუმენტური ხასიათის ძეგლები (ოთხთა ეკლესიის, იშხნის, ხახულის, ოშკის, ტბეთის ფრესკები). მისგან ხასიათით განსხვავებულია დავით გარეჯის მონასტრების მხატვრობა, სადაც ფართოდაა წარმოდგენილი დავით გარეჯელის ცხოვრების ციკლი.



დემეტრე I-ის მეფედ კურთხევის სცენა. მაცხვარიშის ფრესკა

მეტად მნიშვნელოვანია რაჭის სოფ. ზემოკრიხის ეკლესიის მხატვრობა (XI ს.), სადაც სვანეთის ძეგლების მსგავსად, ადგილობრივი ფეოდალების საინტერესო პორტრეტებია მოცემული.

XII-XIII სს. მონუმენტური მხატვრობის უმნიშვნელოვანეს ძეგლებში (ვარძია, ბეთანია, ყინწვისი, ბერთუბანი, ახტალა) კომპოზიციის მეტი დეკორაციულობა და დინამიკურიბა შეიმჩნევა; ნახატები დახვეწილია, ფერები უმაღლესი ოსტატობითაა შეხამებული. აღსანიშნავია ისტორიულ პირთა, განსაკუთრებით თამარის პორტრეტები. ვარძიის ეკლესიაში ჯერ კიდევ გაუთხოვარი თამარია გამოსახული, მის წინ აქ მამამისი გიორგი III დგას. ბეთანიასა და ყინწვისში თამართან ერთად გიორგი III და ლაშა-გიორგია გამოსახული. ბეთანიაში მხოლოდ თამარია (მამის გარეშე) ლაშა-გიორგისთან ერთად. ამ პორტრეტების შინაარსი აშკარად განსაზღვრავს ქრონოლოგიასაც. ვარძიის პორტრეტი უადრესია, ბერთუბნისა კი ყველაზე გვიანდელი.

იმდროინდელი მხატვრობიდან განსაკუთრებული ადგილი უკავია ანგელოზის ფიგურას ყინწვისში („აღდგომის“ სცენა), რომელიც თავისი ღრმა ადამიანურობითა და ლირიზმით აშკარად აჩვენებს, რომ ქართული მხატვრობა მიადგა ახალ ამოცანათა მიჯნას. ესაა პრობლემა, რომელსაც იტალიური აღორძინების ხელოვნება ისახავდა მიზნად. მაგრამ ამ მონაპოვართა შემდგომი განვითარებისათვის ისტორიულმა გარემოებამ საქართველოში ვერ შექმნა სათანადო წანამძღვრები.

XI-XII სს. საქართველოს ხელოვნებაში თავისი ადგილი ჰქონდა ხელნაწერი წიგნების გაფორმებას, მინიატურებს. შემორჩა შუა საუკუნეების წიგნის მხატვრული გაფორმების ხელოვნების იშვიათი ნიმუშები. ამ ხანის ქართული წიგნებისათვის დამახასიათებელია ლამაზი კალიგრაფია, მრავალფეროვანი ორნამენტი და დახვეწილი მინიატიურული მხატვრობა.

საქართველოში ძველთაგან იყო ცნობილი ოქროს, ვერცხლის, სპილენძის ნაკეთობათა მინანქრით შემკობა. ქართულ ხელოვნებაში უმთავრესად ტიხრული მინანქარია ცნობილი. XII საუკუნის საქართველოში ტიხრული მინანქრის ხელოვნება ისეთსავე მაღალ საფეხურზე იყო, როგორც ხუროთმოძღვრება და კედლის მხატვრობა. ამის ნათელ მაგალითად მარტო ხახულის ხატის მინანქრები იკმარებდა. ამჟამად შემორჩენილია ღვთისმშობლის სახე, ხელები და შარავანდის ნაწილი. საერთოდ ქართული მინანქარი გამოირჩევა განსაკუთრებული ფერებით (ხორცისფერი, გამჭვირვალე მწვანე) და კოლორიტის სიღრმით.

XI-XII საუკუნეების საქართველოში განვითარდა გამოყენებითი ხელოვნებაც. იმ დროის მაღალ დონეზე შესრულებული კერამიკული თუ ლითონის ჭურჭელი აშკარად ადასტურებს ყოფა-ცხოვრებაში ხელოვნების ღრმად შეჭრას. უთუოდ დიდი ადგილი ეკავა მხატვრული ქსოვილის (ოქროქსოვილი, ე.წ. ოქსინო) წარმოებასაც.

ერთიანი საქართველოს სამეფო კარი (განსაკუთრებით დავით აღმაშენებელი, თამარი) დიდ ყურადღებას უთმობდა განათლებისა და კულტურა-ხელოვნების წინსვლის საქმეს. იგი პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამდა სხვადასხვა ქვეყნებთან კულტურულ-საგანმანათლებლო კონტაქტების დამყარებისათვის. მუსლიმი მწერლები იმასაც გვამცნობენ, რომ დავით აღმაშენებელს ცალკე სახლიც კი აუშენებია უცხო ქვეყნების მეცნიერთა, ფილოსოფოსთა და პოეტთათვის. საქართველოს მეფეები ნივთიერადაც ეხმარებოდნენ მათ და დროდადრო დარბაზობებსაც უმართავდნენ.

### ლიტერატურა

XI საუკუნიდან ფართოდ ხდება საქრისტიანო ლიტერატურის ქართულად გადმოღება-თარგმნა, იქმნებოდა ორიგინალური შრომებიც. **გიორგი ათონელმა** ღვთისმეტყველების დარგის სამოცზე მეტი ნაშრომი თარგმნა. რიგი ადრე თარგმნილი წიგნებისა (მაგ., „დავითნი“, „სახარება“, „წიგნი სამოციქულოჲ“) ხელახლა უთარგმნია, გაუსწორებია და შეუჯერებია ბერძნულ ტექსტებთან. მის კალამს ეკუთვნის ორიგინალური ნაშრომი „ცხოვრებაჲ იოანესი და ეფთვიმესი“.

ქართულ ორიგინალურ თუ თარგმნილ მწერლობას თავისი ამაგი დასდო **ეფრემ მცირემ**. მისი შრომებიდან მნიშვნელოვანია „მოსახსენებელი მცირე სვიმეონისათვის ლოღოთეტისა“. სვიმეონ ლოღოთეტი მეტაფრასტული ლიტერატურის ფუძემდებელია და მის შესახებ გამოკვლევა ნათელს ჰფენს ამ მიმდინარეობას ბიზანტიურ ლიტერატურაში. ეფრემ მცირეს ნათარგმნი შრომებიდან აღსანიშნავია: „ეკლესიასტე“, „ცხოვრება იოანე დამასკელისა“ და სხვ. ეფრემ მცირის მოწაფემ არსენ იყალთოელმა თარგმნა გიორგი ამარტოლის „ხრონოღრაფი“, „დიდი სჯულისკანონი“, „დოღმატიკონი“ და სხვა მრავალი სალვთისმეტყველო ნაწარმოები.

XII საუკუნის დასაწყისიდან ფართოდ ვითარდება ქართული საერო მწერლობა, შეიქმნა საერო პოეზია. ამ დროის ქართული მწერლობის მაღალ დონეზე მიუთითებს პროზაული ნაწარმოებები „ამირანდარეჯანიანი“ და „ვისრამიანი“ და სახოტბო პოემები **ჩახრუხაძის** „თამარიანი“ და **შავთელის** „აბდულმესიანი“). ამ პერიოდში შეიქმნა მსოფლიო ლიტერატურის შედევრი **შოთა რუსთაველის** „ვეფხისტყაოსანი“. ეს პოემა მსოფლიო მწერლობის გვირგვინია. მისი გენიოსი ავტორი შოთა რუსთაველი კი ღრმად განსწავლული, ნიჭიერებით გამორჩეული პიროვნება იყო. იგი, როგორც მტკიცდება მეფე თამარის დროს მოღვაწეობდა. სწორედ ამ ეპოქაში (სავარაუდოდ 1188 წ. მოღვაწეობის თარიღი დაუდგენელია) ასრულებდა მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობას.

მეჭურჭლეთუხუცესთა ზემოთ მოტანილ სიაში მისი ზეობის წლები მოცემულია 1188-1202წწ (ამ პერიოდში, ცხადია, შოთას შემდეგ, მოღვაწეობდა შალვა ახალციხელი).

შოთა რუსთაველის ბიოგრაფიას გარკვეული სინათლე შემატა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში აღმოჩენილმა ფრესკამ, სადაც შოთა მეჭურჭლეთუხუცესია გამოსახული.

### ისტორიოგრაფია, ფილოსოფია

XI-XII საუკუნეებში განვითარდა და მაღალ დონეზე ავიდა ისტორიული აზროვნება. პრობლემატიკის მიხედვით ისტორიული მეცნიერება არ ჩამოუვარდება იმ დროის მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ისტორიულ აზროვნებას. ქართულმა საისტორიო მწერლობამ კვლევის ობიექტად გაიხადა ხალხთა მონათესავეობის, ქართული ენის წარმომავლობის, ქართული დამწერლობისა და ქართული სახელმწიფოს წარმოშობის პრობლემები. ჩნდება განმაზოგადებელი ისტორიული შრომების შექმნის ტენდენცია. **ლეონტი მროველი, ჯუანშერი, სუმბატ დავითისძე,** „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი, დავით აღმაშენებლის



ღირსი მამა იოანე შავთელი და ევლოგი წინასწარმეტყველი

დასასრული. დასაწყისი იხ. № 36, 41, 44, 49, 54, 59, 64, 69, 74, 79, 82, 86, 91, 96, 100, 105



ანჩისხატის მაცხოვრის მოჭარჭოება

ისტორიკოსი, ბასილი ეზოსმოძღვარი და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი – ჰქმნიან დიდ ისტორიებს, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ წარსულისა თუ მათი თანამედროვეობის შესწავლის საქმეში. მათ თავიანთი შრომებით განუზომელი სამსახური გაუწიეს თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიას, საქართველოს ისტორიის შესწავლას.

XI საუკუნის ისტორიკოსი **ლეონტი მროველი** თხზულებაში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ ცდილობს, გადმოგვცეს ქართველ ტომთა წარმოშობის პრობლემა, ქართული ენისა და დამწერლობის წარმოშობის საკითხი, თავდაპირველი რელიგიური რწმენა, საქართველოში სამეფო ხელისუფლების წარმოშობა და სხვ. ლეონტი მროველმა საქართველოს ისტორია მეხუთე საუკუნემდე მოიყვანა.

ქართველი ისტორიკოსი **ჯუანშერი** (XI ს.) თავის თხზულებით „ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასლისა“ ფაქტობრივად აგრძელებს ლეონტი მროველის თხრობას. ეს თავისებური ისტორიული ეპოსია, რომელიც ვახტანგ გორგასლის ცხოვრებას აღწერს (ზოგჯერ გადაჭარბებულ, ნახევრად ზღაპრულ ამბებსაც გადმოგვცემს).

ამავე პერიოდისაა სუმბატ დავითისძე, რომელსაც ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიკოსს უწოდებენ მისი თხზულების „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“-ს გამო. მემატიანე მეტად საინტერესოდ გადმოგვცემს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიას. ეს ის საგვარეულოა, რომელმაც სათავე დაუდო ერთიანი საქართველოს სამეფო დინასტიას. ამასთან საგულისხმოა ავტორის კონცეფცია ბაგრატიონთა მეფობის უპირატესობის შესახებ დიდგვაროვან აზნაურთა ხელისუფლებასთან შედარებით. **„მატიანე ქართლისაჲ“**-ს ავტორი უცნობია. მან მოგვცა საქართველოს ისტორია VIII საუკუნიდან XI საუკუნის 80-იან წლებამდე. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება **„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“** სრულიად ახალი ეტაპია ქართულ ისტორიოგრაფიაში. მაღალი ეროვნული თვითშეგნების ავტორი მეფის მომხრეთა დასს ეკუთვნის და სამეფო ხელისუფლების ღვთისნებობის თეორიას იზიარებს.

ძველ ქართულ ისტორიოგრაფიაში უთუოდ დიდი ადგილი უკავია თამარის ორ ისტორიკოსს. **„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“,** რომელიც „არც ერთ სხვა საუკეთესო ქართულ საისტორიო ძეგლს არ ჩამოუვარდება. ამასთანავე იგი დიდი ნდობის ღირსიც არის და ამის გამო ისტორიისათვის ძვირფას წყაროდ უნდა ჩაითვალოს“ (ი. ჯავახიშვილი). თამარის მეორე ისტორია: „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ შინაარსობრივად და კონცეფციურად XII საუკუნის ქართული საისტორიო მწერლობის დიდი წარმატების მაჩვენებელია.

ძველი საქართველოს საისტორიო აზროვნების უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს „ქართლის ცხოვრების“ არსებობა, რომელიც თანდათან იქმნებოდა და პირველად კრებული სწორედ XII საუკუნეში შედგა. „ქართლის ცხოვრება“ იყო ფეოდალური საქართველოს ცივილიზაციის მნიშვნელოვანი იდეურ-პოლიტიკური ბაზისი. XI-XII რუსთველის ეპოქის ქართულმა ისტორიოგრაფიამ მოიხადა თავისი ვალი – საზოგადოებას მოაწოდა საქართველოს ისტორია.

XI-XII საუკუნეებში განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია ფილოსოფიურმა მეცნიერებამ, რაშიც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საერო კულტურის განვითარებას და მის მსოფლმხედველობრივ საფუძვლებს. ქართულ ფილოსოფიაში ყალიბდება ახალი შეხედულებანი ადამიანზე და მის დანიშნულებაზე. მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ჰუმანიზმი, რომელიც პოეტურსა და ფილოსოფიურ გამოხატულებას პოულობს „ვეფხისტყაოსანში“. იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებაში, მის ლიტერატურასა და ხელოვნებაში ჰუმანისტური იდეების სიძლიერემ საფუძველი მისცა მეცნიერებს, მათში რენესანსის აშკარა ნიშნები დაენახათ.

XII საუკუნის საქართველოს მეფეთა (განსაკუთრებით დავით აღმაშენებლისა და მეფე თამარის) მოქმედებასა და მათ მიერ ამა თუ იმ საკითხთა გადაჭრაში აშკარად ჩანს ექვთიმე მთაწმინდელისა და ეფრემ მცირეს ჰუმანისტური იდეალების გავლენა.

ყოველივე ზემოთქმული რეალურ საშუალებას იძლევა მეცნიერულად დავადასტუროთ რუსთველის ეპოქის საქართველოს ისტორიის მისი კულტურის, პოლიტიკის, ეკონომიკის, საზოგადოებრივი აზროვნების მაღალგანვითარებულობა და ხაზი გავუსვათ რენესანსის საწყისებს, რაც აშკარად გამოიხატა ქვეყნის განვითარების დონეში.

* * *

ამგვარად, XI საუკუნის მეორე ნა-



ბექა და ბეშქენ ოპიზრების მიერ მოჭედილი ხატი

ხევარი – XIII საუკუნის 20-იანი წლები სრულიად სამართლიანად არის საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანად“ მიჩნეული. ეს რუსთაველის ეპოქაა; ამ პერიოდში იშვა დიდი შოთა რუსთაველი, შეიქმნა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც თავისი ჰუმანისტური იდეებით არის გამორჩეული და სრული სიახლეა შუა საუკუნეებისათვის. ესაა პერიოდი, როცა შეიქმნა დიდი ხელოვნება და ლიტერატურა, საქართველო მრავალმხრივ დაწინაურდა: პოლიტიკურად, ეკონომიკურად, კულტურულად. სწორედ ამ დროს საქართველოს ირგვლივ გაერთიანდა მთელი კავკასია, მაღალ დონეზე ავიდა სამართლებრივი კულტურა, დაიხვეწა სახელმწიფო სტრუქტურა. ძნელად თუ იმ დროისათვის სადმე იყო (თუნდაც ევროპის ქვეყნებში) საქართველოს სახელმწიფოს დონის ტოლერანტობა: სხვა ერისა და სხვა სარწმუნოების მქონეთა შემწყნარებლობა, განსაკუთრებული პატივისცემა. სწორედ ამ პერიოდში გახდა შესაძლებელი რენესანსული იდეების წარმოქმნა და რენესანსის – აღორძინების პერიოდის დაწყება.

* * *

**რედაქციისაგან: ამით ვასრულებთ გამოჩენილი მეცნიერის როინ მეტრეველის მონოგრაფიას „შვიდ სამეფოდ განწესებული“ („რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორია“), რომელშიც ვრცლად, მეცნიერისთვის ჩვეული პროფესიონალზმითა და კეთილსინდისიერებით მიმოხილულია ქართველთა „ოქროს ხანა“ – ისტორია, ყოფა, კულტურა, საშინაო და საგარეო პოლიტიკა.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია კიდევ ერთხელ გულწრფელ მადლობას მოახსენებს ბატონ როინს, ამ შესანიშნავი მონოგრაფიის ექსკლუზიურად ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებისთვის.**

◎ „ლურჯა ცხენები“ ბოდვა ყოფილა!

# მე არ მებრალებიან!

## რას გამოვცემთ და რატომ გამოვცემთ?

ზუსტად 55 წლის წინათ ქუთაისში გაიხსნა **გალაკტიონ ტაბიძის** სახელობის სტამბა, რომელმაც პირველ წიგნად სწორედ მისი „ასი ლექსი“ დაბეჭდა.

**„დაე, დიდი პოეტის ეს წიგნი ფეხბედნიერი მეკვლე იყოს ქუთაისელი მესტამბეებისათვის.“** – აღნიშნა ანოტაციაში გამომცემლობა „ნაკადულმა.“

**„სად არის ეს „დიდი“ პოეტი? შენ, – „ბრძენთა-ბრძენო“, მაგრამ გემოვნებით და ნამდვილი პოეზიის აღქმით დასაჭურისებულო, დეგენერატო, უკაცრავად პასუხია, კრიტიკოსო???“** – მიაწერს ხსენებულ ანოტაციას ერთი ცნობილი პოეტი.

და განა მარტო ანოტაციას?! – მსგავსი კომენტარებით თითქმის ყველა ლექსს, მთელს წიგნს ააჭრელებს.

ვინ მიაწერდა გალაკტიონის შედევრებს ასეთ კომენტარებს, თუ არა ცისფერყანწელი? – გალაკტიონთან მათი დამოკიდებულება ხომ ცნობილიც არის და ადვილად ასახსნელიც: **„არავის არ გამოჩენია იმდენი მტერი, რამდენიც შენ, რადგან არავინ ისე ძლიერი არ ყოფილა, როგორც შენ“(გალაკტიონი)**.

მართლაც განსაცვიფრებელია შურითა და ბოღმით გაჟღენთილი ეს კომენტარები.

ყველაზე მეტად „ლურჯა ცხენებია“ აჭრელებული . რა აღარ მიუწერია, რომელი სტრიქონი აღარ დაუწუნებია, ბოლოს კი დაუსკვნია: „ ეს ლექსი უაზროა, ბოდვაა – მეტი არაფერი!“

„არ ვარგა სრულებით“ – მიუწერია „ეფემერაზე“.

რა ეპითეტებით არ ამკობს გალაკტიონს?! – გრაფომანი, პლაგიატ(ორ)ი, პროვინციალი, კრეტინი, დეგენერატი...

ამ დროს გალაკტიონი უკვე ორი წლის გარდაცვლილია და **პუშკინის** ის სიტყვებიც კი აღარ მართლდება, **ვახტანგ ჯავახაძეს** თავის წიგნში გალაკტიონის მტრებზე საუბრისას რომ მოჰყავს: **„Они любить умеют только мертвых!“**

„გაფრენა არის ისე ადვილი, თუკი გაბედავ და გაშლი მკლავებს“, – წერდა თვითონ, მაგრამ მკლავების გაშლა გალაკტიონმა გაბედა.

ეტყობა, დიდ ტალანტთან ერთად, ესეც ვერ აპატია („და სიკვდილშიც პირველი“ – მურმან ლებანიძე).



გაივლის წლები და **კოლაუ ნადირაძის** არქივი ბინას ლიტერატურის მუზეუმში დაიდებს და საზოგადოებაც შეიტყობს ამ კომენტარების არსებობას. მათი არსებობა ფაქტია და მუზეუმში, რასაკვირველია, უნდა ინახებოდეს, მაგრამ საკითხავი ის არის, მათი და საერთოდ მუზეუმის ბედი ვის აბარია.

წლების წინათ ქუთაისში გამომავალმა ჟურნალმა „განთიადმა“, რომელსაც იმხანად **რეზო ჭეიშვილი** რედაქტორობდა, კოლაუ ნადირაძესთან ინტერვიუ გამოაქვეყნა. უკვე მხცოვანმა ცისფერყანწელმა მაშინაც უკადრებელი აკადრა გალაკტიონს. ბატონმა **რეზი თვარაძემ** ეს არ მოითმინა და პროტესტის ნიშნად ჟურნალის სარედაქციო კოლეგია დატოვა.

ასე იქცევიან ღირსეული ლიტერატურათმცოდნეები!

მაგრამ ასე არ იქცევიან მუზეუმთა უღირსი ხელმძღვანელები!

სხვაგვარად ვერ ახსნი იმ ფაქტს, რომ ლიტერატურის მუზეუმმა სულ ახლახან ვეებერთელა წიგნად გამოსცა **„გალაქტიონის ასი ლექსი კოლაუ ნადირაძის კომენტარებით.“**

თანაც საგანგებოდ იზრუნა იმაზე, რომ ეს კომენტარები, რაც შეიძლება დაუბრკოლებლად წავიკითხოთ: კოლაუ ნადირაძის ხელნაწერი ისედაც მკაფიოდ იკითხება, მაგრამ გამომცემელმა **(ლაშა ბაქრაძე!)** საქმე კიდევ უფრო გაგვიადვილა – ფაქსიმილურ გამოცემაში ყველა კომენტარი სტამბურად ნაბეჭდიც შემოგვთავაზა, აქაოდა, წაუკითხავი და გაუგებარი არაფერი დაგრჩეთო(?!).

და რა ტექსტია ასეთ პატივში? – კომენტარები, რომლებიც უმეტესად შურსა და ბოღმას გამოხატავენ. ლანძღვა-შეურაცხყოფას რომ თავი დავანებოთ, ისიც გაგაოცებს, რომ ამას პოეტი(თანაც არცთუ ურიგო) წერს: „ქარის დანახვა საერთოდ არ შეიძლება“ , ანდა: „მოწყენილი გზა არ შეიძლება!“



ტყუილად კი არ ეუბნებოდათ გალაკტიონი: **„მე ვხედავ სიზმრებს არათქვენებურს“...**

ამ „კომენტარებში“ უვიცად, უჭკუოდ და უტვინოდ არის გამოცხადებული ყველა, ვისაც გალაკტიონის შედევრები მოსწონს.

გავიხსენოთ ზოგიერთი მათგანი.

**კონსტანტინე გამსახურდია:** „მე პირადად, ასე თუ ისე, ვიცნობ მსოფლიო პოეზიას და უნდა მოგახსენოთ: გალაკტიონისთანა დიდი ვირტუოზი ლექსისა არც საქართველოს და არც ჩვენს პლანეტას არ მოეპოვება... გალაკტიონზე სიჭაბუკეში განსაზღვრული გავლენა მოახდინეს ვერლენმა და ედგარ პომ, მაგრამ სრულიად მიუდგომლად ვამბობ: გალაკტიონმა გადააჭარბა თავის მასწავლებლებს. მე ვიტყოდი: შორს გადააჭარბა.“

**ნოდარ დუმბაძე:** „გალაკტიონის დაბადების დღიდან დედამიწის ზურგზე მისი სიმაღლის პოეტს არ გაუვლია.“

**გურამ ასათიანი:** „მოვა დრო, როცა კაცობრიობა გალაკტიონს გენიოსად აღიარებს.“

* * *

**რას ემსახურება ლიტერატურის მუზეუმის ხსენებული გამოცემა?**

გალაკტიონის დაკნინებას? – ეს ხომ ისეთი უაზრობაა, ლაშა ბაქრაძეც რომ ადვილად მიხვდება.

უაზრობაა, მაგრამ, იმავდროულად, უზნეობაც არის.

გალაკტიონის ერთადერთობით **(„ვწუხვარ ერთადერთი ვარ“)** გულგასენილმა კოლაუ ნადირაძემ მისი უკვდავი შედევრები სრულიად უკადრისი მინაწერებით ააჭრელა, მაგრამ 93 წელს მიღწეული ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, რომ სააშკარაოზე არ გამოუტანია. სამაგიეროდ, **ლიტერატურის მუზეუმმა უზარმაზარი ფორმატით, „სანიმუშოდ“ გამოსცა და ოც(?!) ლარად ყიდის**.

ლაშა ბაქრაძეს, ისედაც მრავალმხრივს (საჭიროების მიხედვით – ისტორიკოსს, მთარგნელს, პუბლიცისტს...), ბიზნესმენის ნიჭიც აღმოაჩნდა – ჩვენს დროში უღირსობა კარგად ფასობს...

განა ვერ ხვდება, რომ უღირსი საქციელია?! – წიგნის გარეკანზე, სულ ბოლოში ასეთი ტექსტია: **„ეს კომენტარები უაღრესად კრიტიკულია, მწვავე და ზოგჯერ სახალისოც** (თურმე, ასეთიც ყოფილა?! – **ავტ**.), **მაგრამ ამავე დროს იგრძნობა ცნობილი მწერლის შეფარული მოწიწებაც დიდი პოეტისადმი.“**

სინამდვილეში, აქ მოწიწებას ვერავინ დალანდავს.

მსგავსი არც „კომენტატორს“ ეტყობა რაიმე და არც გამომცემელს.

ისევ გალაკტიონი თუ დაგვამშვიდებს:

„და მებრალება მე ჩემი მტრები, არ ვიცი მტრობა.“

მე არ მებრალებიან...

**იოსებ ჭუმბურიძე**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# თომას ჰამარბერგს თურქი აფხაზების შესახებ შეახსენეს

## სოხუმში ევროსაბჭოს ყოფილი კომისარი თომას ჰამარბერგი შეხვდა საზოგადოებრივი პალატის წევრებს, რათა განიხილონ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სიტუაცია

**თომას ჰამარბერგი ცნობილი შვედი დიპლომატი და ევროსაბჭოს ყოფილი კომისარია ადამიანების უფლებების საკითხებში. ამჟამად იგი გაეროს ადამიანის უფლებათა ექსპერტია და აწყობს მონიტორინგს აფხაზეთში.**

ჩამოყალიბებული პრაქტიკის მიხედვით, ევროსაბჭო კმაყოფილდება მოხსენებებით ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ აფხაზეთში, რომლებიც მან საქართველოდან მიიღო. წელს საერთაშორისო გაერთიანებამ დაავალა შეესწავლა ეს თემა თავის ექსპერტს. თომას ჰამარბერგმა აფხაზეთში გამართა შეხვედრები ხელისუფლების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. ესაუბრა ჟურნალისტებს.

მან გამოთქვა იმედი აშკარა და ობიექტურ საუბარზე და აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი პალატა არის მნიშვნელოვანი მოედანი, რომელიც გვეხმარება დავამყაროთ კავშირი სამოქალაქო საზოგადოებასა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის. მას სურდა მოესმინა პალატის წევრების აზრი მდგომარეობის შესახებ აფხაზეთში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით.

საზოგადოებრივი პალატის მდივანმა ნათელა აკაბამ დაასახელა მიზეზები, რომლებიც, მისი აზრით, ქმნიან სირთულეებს სიტუაციის გაუმჯობესებისათვის ადამიანის უფლებათა დარგში. მან განაცხადა:

**„უწინარეს ყოვლისა, ესაა ურთულესი შედეგები კონფლიქტისა, რაც ჩვენ გადავიტანეთ. როდესაც დაირღვა არა მხოლოდ ინფრასტრუქტურა, არამედ ურთიერთობანიც ადამიანთა შორის და, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საზოგადოება მეტად ტრავმირებულია. ის ვითარება, რომ აფხაზეთი მხოლოდ ნაწილობრივ აღიარებული სახელმწიფოა და ჩვენ არ ვართ სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტების წევრი, — რასაკვირველია, ძალიან უწევს წინააღმდეგობას ჩვენს წინსვლას ადამიანის უფლებათა დარგში“.**

გული კიჩბამ, რესპუბლიკური მოძრაობის „აფხაზეთის დედები მშვიდობისა და სოციალური სამართლიანობისათვის“ თავმჯდომარემ, ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მსოფლიო გაერთიანება ზღუდავს აფხაზეთის მოქალაქეებს მსოფლიოში თავისუფალი გადაადგილებებისათვის, არ აღიარებს მათ პასპორტებს. ამას მივყავართ იზოლაციასთან და ეს არღვევს ჩვენი მოქალაქეების უფლებებს.

თენგიზ ინალ-იფამ, საზოგადოებრივი გაერთიანება „ერთიანობის“ თავმჯდომარემ გალის რაიონში, ისაუბრა გალელთა ყველაზე მწვავე პრობლემებზე:

**„გალის რაიონში ყველაზე მთავარი პრობლემა შეეხება მცხოვრებთა პასპორტიზაციას. ამ პრობლემის შემდეგ, სიმწვავის მიხედვით, მეორე არის იმ ახალგაზრდების პრობლემა, ვინც წელს სკოლას ამთავრებს. მათ ამჟამად აძლევენ ფორმა №9, მაგრამ ეს ფორმა როდი ნიშნავს, რომ ისინი აფხაზეთის მოქალაქეები არიან. ვფიქრობ, რომ ჩვენი მთავრობა გადაწყვეტს ამ საკითხს, ვინაიდან თუ ეს საკითხი არ გადაწყდა, ეს იქნება კატასტროფა ადგილობრივი მოსახლეობისათვის“.**

თომას ჰამარბერგისათვის საინტერესო და მოულოდნელი თემა წამოსწია ნიზამ ჰაპატმა, აფხაზეთის მოქალაქემ და რეპატრიანტმა თურქეთიდან. მან თქვა, რომ მუდმივად ესმის ქართველების შესახებ, რომლებიც დევნილები არიან აფხაზეთიდან, ამ დროს თურქეთში ცხოვრობს დაახლოებით 500 ათასი აფხაზი, რომლებიც ასევე არიან ლტოლვილები აფხაზეთიდან. მან თქვა:

**„ჩვენც გვინდა დავბრუნდეთ ჩვენს ისტორიულ სამშობლოში, ჩვენ არასოდეს მოგვისმენია არც ევროკავშირის მხრიდან, არც ევროპის ქვეყნებიდან არანაირი დახმარების შესახებ. გვინდა, ეს ჩვენ თუ არა, მაგრამ იქ მიმდინარეობს ასიმილაცია, იქ ჩვენ არ გვაქვს სკოლები, არის დაახლოებით 13 კულტურული ცენტრი სხვადასხვა ქალაქში, და იქ გარკვეული ადამიანები შრომობს და და თავიანთ დროს ფულის გამომუშავებას ახმარენ. მაგრამ მთელი ამ წლების განმავლობაში მე არ გამიგონია რაიმე დახმარების შესახებ ევროკავშირიდან ანდა რაიმე მხარდაჭერის შესახებ. ჩვენც არ გვინდა დავკარგოთ ჩვენი ენა და ჩვენი კულტურა, მაგრამ ჩვენ იქ ვქრებით, ეს არასწორი და არასამართლიანია.**

თომას ჰამარბერგმა ყურადღებით მოუსმინა ყველას და დაჰპირდა, რომ ყველა დასახელებულ პრობლემას ის შეიტანს მოხსენებაში და ამას აცნობებს ევროსაბჭოს წარმომადგენლებს. მან გაგვაფრთხილა, რომ ამ პრობლემების ერთბაშად გადაჭრა შეუძლებელია. მაგრამ მათ დააყენებს, სადაც ჯერ არს, მაგრამ სიტუაციის გაუმჯობესებისა და გადაწყვეტის გზების ძიება საჭიროა.

Эхо Кавказа
ekhokavkaza.com




# „საზღვარი“, 36-ე სერია. დავები ეკლიანი მავთულების შესახებ

**ჟენევაში სტარტი აიღო სამხრეთ კავკასიაში სტაბილიზაციისა და უსაფრთხოების დისკუსიის 36-ე რაუნდმა. შეხვედრაზე საქართველოს მხარემ მოითხოვა ეგრეთ წოდებული აფხაზი მესაზღვრის დაკავება და მისთვის გადაცემა, რომელსაც ბრალი ედება გოგი ოთხოზორიას მკვლელობაში, რაც მოხდა საქართველოს ტერიტორიაზე სოფელ ხურჩაში. ოფიციალური თბილისის წარმომადგენლებმა ასევე მოითხოვეს შეწყვიტონ მავთულხლართებისა და ნიშნულების დაყენება საზღვრების მითითებით გამყოფი ხაზის გასწვრივ.**

ჟენევის დისკუსიების მორიგ რაუნდზე მხარეები მივიდნენ გადაუწყვეტელი პრობლემების ბაგაჟით. ტრადიციულად, რუსეთის და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების და ცხინვალის რეგიონის წარმომადგენლები მოითხოვენ საქართველოსგან იურიდიული ვალდებულებების ხელმოწერას ძალის გამოუყენებლობის შესახებ მათთან დამოკიდებულებაში. პასუხად ოფიციალური თბილისი აყენებს საკითხს ლტოლვილების დაბრუნებისა და გამყოფ ხაზთან მავთულხლართების გაყვანის შეწყვეტის საკითხებზე...

მიუხედავად რუსეთის მხარის შედარებით შემრიგებლური ტონისა, ექსპერტი კავკასიის საკითხებში ალეკო კვახაძე არ ელოდება განსაკუთრებულ პროგრესს ამ რაუნდისგანაც. მისი სიტყვებით, უკანასკნელი შეხვედრების ერთადერთი პოზიტიური მომენტი შეიძლება იყოს გალის შეხვედრების მექანიზმის აღდგენა, თუმცა მეტი არაფერი.

**„რაც შეეხება ჟენევის ფორმატს, მასზე რუსეთი და სეპარატისტული რეგიონები გამოდიან ერთი პოზიციით, ამიტომ ველოდოთ პრინციპულ დათმობებს მათი მხრიდან, არ არის საჭირო. ადამიანების გატაცებითა და საზღვრების გადატანით სიღრმეში ისინი ცდილობენ აიძულონ ქართული მხარე ცალმხრივი დათმობებისათვის. დამახასიათებელია, რომ გოგი ოთხოზორიას მკვლელი დემონსტრაციულად არ დააკავეს დღემდე, ამიტომ მიმაჩნია, რომ ეს რაუნდი აღმოჩნდება შეხვედრა შეხვედრისათვის“,** — დაასკვნა ალეკო კვახაძემ.

# დედამიწის ზურგზე

### იაპონიამ ბრალი დასდო ჩინეთის სამხედრო ხომალდს ქვეყნის ტერიტორიულ წყლებში შეჭრის გამო

ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ძალების დაზვერვითი ხომალდის შეჭრა იაპონიის ტერიტორიულ წყლებში კუნძულ კუტიროერაბუს რაიონში, რომელიც კოგასიმის სამხრეთ პრეფექტურას ეკუთვნის, დააფიქსირა იაპონიის ხომალდსაწინააღმდეგო თვითმფრინავმა. ტერიტორიულ წყლებში საათნახევრის ყოფნის შემდეგ ხომალდმა დატოვა რაიონი.

### ბელგიაში გამოაქვეყნეს გაფრთხილება ახალი მომავალი ტერორისტული აქტების შესახებ. ისლამური სახელმწიფოს ბოევიკები უკვე წავიდნენ სირიიდან

ბელგიის ყველა სამართალდაცვის ორგანოში გაიგზავნა გამაფრთხილებელი წერილები, რომლებშიც საუბარია, რომ ისლამური სახელმწიფოს ტერორისტების ჯგუფი გავიდა სირიიდან ევროპაში. შესაძლებელია ისინი გაიყვნენ და თავს დაესხნენ ბელგიასა და საფრანგეთს.

### დიდი ბრიტანეთის ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ ქვეყნის გამოსვლა ევროკავშირიდან დაუჯდებათ 42 მილიარდი დოლარი

ჯორჯ ოსბორნი გააფრთხილებს თანამემამულეებს, რომ 2-დან 22 პროცენტამდე გაიზრდება საშემოსავლო გადასახადის საბაზო საწყისი, 2-დან 45 პროცენტამდე — ხარჯების ოდენობა მოსახლეობაზე. 5 პროცენტით გაიზრდება აქციზები ბენზინსა და ალკოჰოლზე. 2 პროცენტით დაეცემა ხარჯები ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და თავდაცვის სფეროებში. 5 პროცენტით შემცირდება ხარჯები პოლიციასა და ტრანსპორტზე.

### ვენესუელაში შიმშილის ბუნტების მსხვერპლი 2 კაცი გახდა

მორიგი უწესრიგობანი მოხდა სუკრეს შტატის ქალაქ კუმანში. მონაცემები მსხვერპლის შესახებ ჯერჯერობით არაოფიციალურია. გასულ კვირას უწესრიგობათა გამო მოკლეს კიდევ 3 კაცი. ამ შემთხვევებთან დაკავშირებით დაკავებული არიან სამხედრო მოსამსახურე და პოლიციელი.

### არგენტინის ექს-მინისტრი დაიჭირეს მცდელობის დროს - დაემალა მონასტერში 8 მილიონზე მეტი დოლარი

როგორც ჟურნალისტებს პროვინცია ბუენოს-აირესის უშიშროების მინისტრმა „კრისტიან რიტონდომ უამბო, ადგილობრივმა მცხოვრებმა დილით დარეკა პოლიციაში და აცნობა, რომ უცნობმა პიროვნებამ მონასტრის კედლის იქით გადაყარა რაღაც პაკეტები. ხოსე ლოპესს თან ჰქონდა 6 ჩანთა, ჩემოდანი და ცეცხლსასროლი იარაღი.

### ვენესუელა შიმშილის ბუნტების ფონზე მზადაა, აღადგინოს ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფომ დივანმა ჯონ კერიმ და ვენესუელის საგარეო საქმეთა მინისტრმა დელსი როდრიგესმა ადრე გამართეს მოლაპარაკება დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში. ამის შემდეგ პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ განაცხადა მზადყოფნის შესახებ, დაუყოვნებლივ გაგზავნოს ელჩი ვაშინგტონში.

### კლინტონმა დემოკრატებს მოუგო უკანასკნელი პრაიმერიზი - ვაშინგტონში

კენჭისყრის წინ კლინტონი შეხვდა თავის კონკურენტ ბერნი სანდერსონს, რათა განეხილათ რესპუბლიკელ კანდიდატ დონალდ ტრამპთან ბრძოლისა და კომპრომისის შესაძლებლობა. მაგრამ შეხვედრის შედეგების მიხედვით განცხადება არ გაკეთებულა. ექს-სახელმწიფო მინისტრმა ადრე მოაგროვა დელეგატების ხმების აუცილებელი ოდენობა, რათა მოეპოვებინა გარანტია დასახელებაზე.



## საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

**ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის№1-1/309 ბრძანების შესაბამისად.**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) დახმარებით, ახორციელებს E-60 ჩქაროსნული საავტომობილო გზის სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთის კმ11.5-კმ30.00 მშენებლობის პროექტს (ლოტი II).

ზემოხსენებული პროექტის განხორციელებისას წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯაპანაში მდებარე 137 196 კვ.მ მიწის ნაკვეთის ს/კ №27.04.45.095 სახელმწიფოს მიერ გამოსყიდვის აუცილებლობა. აღნიშნული კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მესაკუთრესთან – ბიძინა ჯიბლაძესთან (პ/ნ 26001003637) შეთანხმება უძრავი ქონების გამოსყიდვის თაობაზე საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ვერ იქნა მიღწეული.

მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ.

ამავე შეტყობინებით მესაკუთრე ინფორმირებულ იქნა, რომ მისი უარის შემთხვევაში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და მისი საკუთრების პროექტის ფარგლებში მოქცეულ ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს. შესაბამისად, თანხმობის მიუღწევლობის გამო, დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება და 2016 წლის 9 ივნისს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1-1/309 ბრძანება **„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს** საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“. ბრძანებით დადგენილია სახელმწიფო მნიშვნელობის სამტრედია-გრიგოლეთის (ლოტი II) საავტომობილო გზის კმ11+500-კმ30+000 მონაკვეთის მშენებლობის პროექტის განხორციელების აუცილებლობისათვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯაპანაში მდებარე ს/კ №27.04.45.095 (137 196 კვ.მ) უძრავი ქონების (მესაკუთრე ბიძინა ჯიბლაძე) ექსპროპრიაციის საჭიროება, ხოლო ექსპროპრიაციის განმახორციელებელ სუბიექტად განსაზღვრულია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გონივრულ ვადებში გეგმავს სასამართლოში განცხადების შეტანას, რათა მოიპოვოს ექსპროპრიაციის უფლება პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთზე.

ექსპროპრიაციის უფლება უნდა გავრცელდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის №1-1/309 ბრძანებით განსაზღვრულ, ბიძინა ჯიბლაძის (პ/ნ 26001003637) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე – სასოფლო-სამეურნეო(სახნავი) დანიშნულების 137 196 კვ.მ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით ს/კ №27.04.45.095 და მიწის ნაკვეთზე განთავსებული ერთსართულიანი შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 49კვ.მ.

# უფასო რეგისტრაციის კანონი ძალაშია

**წინასაარჩევნოდ გლეხებმა ძალიან კარგი შესაძლებლობა მიიღეს: ერთხელ და სამუდამოდ დაიკანონონ ჰაერში გამოკიდებული მიწები. კანონი დამტკიცებულია, საჯარო რეესტრში დარეგისტრირება უფასოა, ახლა ყველაფერი თავად მიწის მესაკუთრეებზეა დამოკიდებული. ისინი, უბრალოდ, უნდა გამოცხადდნენ რეესტრში და გამოთქვან მიწის დაკანონების სურვილი.**

მთავრობაში განმარტავენ, რომ სპეციალური პროექტისა და შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტის მომზადების მიზეზი მიწის რეგისტრაციის კუთხით არსებული პრობლემები გახდა, კონკრეტულად კი ის ფაქტი, რომ დღეისათვის ქვეყანაში არსებული მიწის ნაკვეთების მხოლოდ 25%-ია რეგისტრირებული.

პარლამენტმა კანონი 3 მოსმენით უკვე დაამტკიცა და ხელმოსაწერად პრეზიდენტს გადაუგზავნა. დარჩენილია მხოლოდ ფორმალური პროცედურა და იგი ძალაში შევა.

გარდა იმისა, რომ სახელმწიფო რეგისტრაციის ხარჯს იღებს თავის თავზე, იგი მოქალაქეს საკუთრების დამადასტურებელი საბუთების მოძიებაშიც დაეხმარება. დღეს მოქმედი ნორმებით, მოქალაქე მიწის რეგისტრაციისას ვალდებულია, მარეგისტრირებელ ორგანოს წარუდგინოს სრული დოკუმენტაცია, რაც მიწაზე მის საკუთრებას დაადასტურებს. დოკუმენტებში ხარვეზების არსებობის შემთხვევებში კი, საჯარო რეესტრი უარს ამბობს ქონების რეგისტრაციაზე. დოკუმენტების ხელახლა შეგროვება და დაფიქსირებული ხარვეზის გამოსწორება მიწის მესაკუთრის ვალდებულებაა – სხვაგვარად მისი საკუთრება ვერ დარეგისტრირდება. მთავრობის მიერ დამტკიცებული ცვლილებების თანახმად კი საჯარო რეესტრი რეგისტრაციის პროცესის თანამონაწილე გახდება. დოკუმენტების, მათ შორის, საარქივო დოკუმენტაციის, მოძიებაში მოქალაქეს საჯარო რეესტრი დაეხმარება. იზრდება იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალიც, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნება მიწის რეგისტრაცია.

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ზუგდიდში მიწის რეგისტრაციის რეფორმის პრეზენტაცია უკვე ჩაატარა და მსგავს ღონისძიებებს სხვა რეგიონებშიც გეგმავს. მინისტრმა საზოგადოებას გააცნო პარლამენტის მიერ დამტკიცებული კანონპროექტი, რომლის მიხედვით, მიწის რეგისტრაცია მარტივდება.

**„მიწის რეგისტრაციის რეფორმის შემდეგ ვისაც დღემდე პრობლემები ჰქონდა იმ მიწაზე, რომელიც მას ეკუთვნის და ვერ იფორმებს, რეგისტრაციის ბარიერები მოიხსნა და საჯარო რეესტრი იძენს ახალ უფლებამოსილებას, რომ მოქალაქის ნაცვლად მოიძიოს დოკუმენტები, საარქივო ცნობები. მიწის ამზომველები დაექვემდებარებიან სერტიფიცირებას და მიწის აზომვაც უფასო იქნება “,** – განაცხადა მინისტრმა.

ნებისმიერმა მოქალაქემ უფასო სახელმწიფო სერვისით სარგებლობისთვის საჯარო რეესტრს განცხადებით უნდა მიმართოს. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი და აზომვითი ნახაზი. საკადასტრო დაგეგმვითი-აზომვითი ნახაზი პროექტის მოთხოვნების შესაბამისად უნდა იყოს შედგენილი. აზომვითი სამუშაოების დასაწყებად აუცილებელი იქნება მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის იდენტიფიცირება დაინტერესებული პირის ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის მითითებით.

**„დღესდღეობით აზომვით ნახაზში არსებული უზუსტობა ხშირად ხდება მიწის რეგისტრაციის ხელისშემშლელი ფაქტორი. ე.წ. გადაფარვის არსებობის გამო უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საჯარო რეესტრს 56 000-მდე სარეგისტრაციო საქმის შეჩერება მოუხდა, პრობლემის მოგვარება კი დღეს მხოლოდ სასამართლოს გზითაა შესაძლებელი, რაც მოქალაქეების დროისა და რესურსის ხარჯვას ნიშნავს.**

**ამ პრობლემების მიზეზი საამზომველო საქმიანობის სფეროს მოუწესრიგებლობაა – აზომვითი ნახაზების შედგენის უფლება ნებისმიერ პირს აქვს. ხშირად საკადასტრო ნახაზები ოფისიდან გაუსვლელად სრულდება, რაც ცდომილების მიზეზი ხდება, აფერხებს მიწის რეგისტრაციის პროცესს და ლახავს მესაკუთრეთა უფლებებს“,** – აცხადებენ იუსტიციის სამინისტროში.

რაც შეეხება აზომვითი სამუშაოების საფასურს, სახელმწიფო პროექტის ფარგლებში წარმოებული საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოები ანაზღაურდება საქართველოს ეკონომიკის მინისტრის ნორმატიული აქტის შესაბამისად. იგი ჯერ დამუშავების სტადიაშია, თუმცა ვიდრე კანონს პრეზიდენტი მწვანე შუქს აუნთებს, სამინისტროც დაასრულებს მუშაობას.

ზოგადად კი სახელმწიფო პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოები (დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია, ნოტარიუსის მიერ გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერის დამოწმება, სანოტარო მედიაცია, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, ფაქტების კონსტატაცია) შესრულდება უსასყიდლოდ და მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება ან მასში ცვლილება დარეგისტრირდება სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის გადახდის გარეშე.

**ბექა დანელია**

საქართველო

## საგზაო დერეფნის საინვესტიციო პროგრამა

კრედიტის/სესხის No.: 2843-GEO

**დავალების სახელწოდება: ადგილობრივი იურისტი-განსახლების კონსულტანტი**

**კონტრაქტი/** RFP No: RCIP/CS/ICS-11

საქართველომ აზიის განვითარების ბანკისაგან მიიღო დაფინანსება საგზაო დერეფნის საინვესტიციო პროგრამის განხორციელებისათვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **ადგილობრივი იურისტი-განსახლების კონსულტანტი** ბათუმის შემოვლითი გზისათვის.

დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 6 თვე.

შერჩევა განხორციელდება ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევის მეთოდის გამოყენებით აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოს თანახმად Guidelines on The Use of Consultants by Asian Development Bank and Its Borrowers, (რომელიც ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.adb.org/documents/guidelines-use-consultants-asian-development-bank-and-its-borrowers),

ინტერესის გამოხატვა წარმოდგენილ უნდა იქნას აზიის განვითარების ბანკის ვებ-გვერდის https://uxdmz06.adb.org/OA_HTML/OA.jsp?OAFunc=XXCRS_CSRN_PROFILE_PAGE&selNo=128741 ან საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ოფიციალური ელ-ფოსტის მეშვეობით: info@georoad.ge არაუგვიანეს 21 ივნისი, 2016 წელი.

GEORGIA

## ROAD CORRIDOR INVESTMENT PROGRAM

**Credit/Loan No.: 2843-GEO**

**Name of the Assignment: Local Lawyer-Resettlement Consultant**

**Contract/ RFP No:** RCIP/CS/ICS-11

Georgia has received financing from Asian Development Bank (ADB) toward the cost of the **Road Corridor investment Program (RCIP)** and intends to apply part of the proceeds of this loan to procure goods, civil works and consulting services under the Project with co-financing of the Georgian Government.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia invites the eligible individual consultants to express their interest for the following Consultancy Service: **Local Lawyer-Resettlement Consultant** for Batumi Bypass Road.

Approximate duration of the assignment: 6 months.

Selection will be done according to the recruitment of individual consultant selection method provided in Guidelines on The Use of Consultants by Asian Development Bank and Its Borrowers (available at http://www.adb.org/documents/guidelines-use-consultants-asian-development-bank-and-its-borrowers),

The proposals will be submitted by means of the ADB web page: https://uxdmz06.adb.org/OA_HTML/OA.jsp?OAFunc=XXCRS_CSRN_PROFILE_PAGE&selNo=128741 or delivered to the official e-mail of the Roads Department of Georgia: info@georoad.ge not later than **June 21, 2016**.

**◎ ევრო — 2016**

# ნუ გამოფენთ თეთრ ბაირაღს!

**ᲘᲧᲝ დრო, უნგრეთის დიდი გუნდი და ავსტრიული ვუნდერტიმი ევროპულ ფეხბურთში მოდის კანონმდებლებად ითვლებოდნენ. მარტო იმ ფაქტის გახსენება რად ღირს, მადიარებმა ძველ სამყაროში გაკერპებულ ინგლისელთა ჰეგემონიას რომ დაუსვეს წერტილი...**

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა და ისტორიულ-გეოგრაფიული მეზობლები ისევ დაუბრუნდნენ ელიტას, თანაც — საფრანგეთში მიმდინარე ტემბერს ავსტრიელებს ვუმასპინძლებთ, ასე რომ, „ჯვაროსანთა" გულშემატკივრებს ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად გვაქვს — ჩვენს მომავალ მეტოქესთან ტოლ-სწორად ბრძოლაც შესაძლებელია და გამარჯვებაც. დავძენთ, რომ უნგრელთა მეკარე კირალიმ ლეგენდარული გერმანელი მათეუსის რეკორდი მოხსნა და 40 წლისამ იასპარეზა.

**პორტუგალია — ისლანდია 1:1**
**(პირველი ტაიმი 1:0)**



**გოლები:** ნანი (31- წთ.), ბიარნასონი (50-ე წთ.).

შარშანდელი სეზონის აღმოჩენამ დაადასტურა, რომ შემთხვევით არ ჩაუტოვებია ჯგუფში მრისხანე ჰოლანდია. ის კი არა, შეხვედრის მიწურულს ფინბოგასონს ხმაურიანი სენსაციის გამოცხობაც შეეძლო, მაგრამ საჯარიმოს ხაზიდან პირდაპირ რუი პატრისიუს ხელებს დაუმიზნა ბურთი. ისიც სათქმელია, რომ ამჯერად უჩვეულოდ უსუსურად გამოიყურებოდა სამხრეთელთა ლიდერი რონალდუ.

როგორც იცით, მუნდიალ — 2018-ის საკვალიფიკაციო ტურნირის სასტარტო მატჩში 7 სექკონტინენტური ფორუმის ერთ ჯგუფში.

მოგეხსენებათ, ალპური სახელმწიფოს ეროვნულმა ნაკრებმა ბრწყინვალედ ითამაშა შესარჩევ რაუნდში, სადაც, სხვათა შორის, რუსეთის გუნდი ჩამოიტოვა, ამიტომ სპეციალისტთა უმეტესობა ფავორიტად სწორედ მას მიიჩნევდა, მაგრამ...

**ავსტრია — უნგრეთი 0:2**
**(პირველი ტაიმი 0:0)**

**გოლები:** სალაი (62-ე წთ.), შიბერი (87-ე წთ.).

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲨᲝᲗᲐᲫᲔ**

**◎ რაგბი**

# იაპონელთა ახალ თავკაცს დებიუტი თბილისში ექნება



**ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის ჯეიმი ჯოზეფის დებიუტი 12 ნოემბერს თბილისში საქართველოს ნაკრებთან მატჩში შედგება.**

ახალზელანდიელი სპეციალისტი „საკურების" თავკაცად უკვე ოფიციალურად არის დადგენილი, თუმცა, იგი ამჟამად სუპერრაგბის კლუბ „აილენდერზს" უდგას სათავეში და ტურნირის დასრულების შემდეგ იაპონიის ნაკრებზე დაიწყებს ზრუნვას, მანამდე კი იაპონელებს „სან ვულვზის" მთავარი მწვრთნელი მარკ ჰამეტი და რიუჯი ნაკატაკე ავარჯიშებენ.

თბილისური შეხვედრის შემდეგ იაპონელები კიდევ ორ ტესტ-მატჩს გამართავენ — 19 ნოემბერს სტუმრად უელსთან და 26 ნოემბერს ნეიტრალურ მოედანზე ფიჯისთან. რაც შეეხება „ბორჯღალოსნებს", ისინი იაპონიის შემდეგ 18 ნოემბერს თბილისში სამოას დახვდებიან, ხოლო 26-ში შოტლანდიელებს გასვლაზე შეებმებიან.

**ᲕᲘᲢᲐᲚᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ**

**◎ ინტერნეტიდან**

# მშვენიერი როსალენა — ბავშვობის ოცნების კვალდაკვალ

**ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ჩვენი მკითხველისთვის ცოტა მოსაბეზრებელიც კია ფეხბურთისა და ფეხბურთელთა თაყვანისმცემელ (და არამარტო თაყვანისმცემელ) სექსუალურ ქალბატონებზე საუბარი, მაგრამ ამჯერად არ შეგვიძლია არ გიამბოთ პერუელ ლამაზმან როსალენა ესპინოსაზე.**



ეს მხიარული და ცეცხლოვანი გოგონა, რომელსაც არაერთ ეროტიკულ ფოტოსესიაში აქვს მონაწილეობა მიღებული, ლიმას უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტია და თურმე დიპლომის აღებისთანავე გადაწყვეტილი აქვს საფეხბურთო გადაცემები მოამზადოს და წარუძღვეს კიდეც.

როსალენა ბავშვობიდანვე თავისი ქვეყნის ნაკრებისა და ლიმას „ალიანსას" გულშემატკივარია და სავსებით ლოგიკურია, რომ გოგონამ ბავშვობის ოცნება ამ არჩეული პროფესიით აიხდინოს, პირადად შეძლოს საყვარელ გუნდთან და ფეხბურთის გულშემატკივრებთან შეხვედრა და მათზე გადაცემების მომზადება.

**ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲠᲐᲭᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

**◎ ოლიმპიური ჩემპიონი**

# და კედელს შერჩა ნაფეხურები

**ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲚᲐᲒᲘᲫᲔ 1954 წლის 23 ივლისს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათში (ოდილაური) დაიბადა. „კლასიკური" ჭიდაობა 15 წლისამ ოზურგეთში დაიწყო მიხეილ თავართქილაძის ხელმძღვანელობით, მერე ჯემალ მეგრელიშვილი ავარჯიშებდა. საქართველოს და საკავშირო ნაკრებ გუნდებში დათო დავითაიას, ვიქტორ იგუმენოვის, გენადი საპუნოვისა და შამილ ხისამუტდინოვის მეთვალყურეობით იმაღლებდა ოსტატობას. თანატოლებში საქართველოს ჩემპიონმა 1971 წელს მოსწავლეთა რესპუბლიკური და საკავშირო სპარტაკიადები მოიგო,1976 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე მე-3 ადგილი დაიკავა, მერე მსოფლიოს უნივერსიადაზე გაიმარჯვა. 1978 წლის მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა 1980 წელს ევროპის ჩემპიონატსა და მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე დაიმსახურა ოქროს მედლები. 1981 წლის საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონია. 1982 წლის მსოფლიოს თასის მფლობელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენის კავალერი და „სპორტის რაინდია". ოზურგეთში მისი ვარსკვლავი გაიხსნა.**



— ორი წლის ვიყავი, ჩოჩხათიდან ოზურგეთის რაიონის სოფელ ბაილეთში რომ გადავედი საცხოვრებლად ოჯახთან ერთად. მამა ადრე დამეღუპა და უფროსმა ძმამ — ზაურმა გაგვზარდა მე და გივი, ჩემი მეორე ძმა. მაშინ რაიონში პოპულარულები იყვნენ ჩვენი თანასოფლელები — ელგუჯა დარჩია და გონერ ჩხარტიშვილი, ცნობილი ფალავნები. ოზურგეთში მათს ორთაბრძოლებს რომ ვესწრებოდი, მეც მომინდა ჭიდაობაზე სიარული. გონერს გავენდე, მან კი მიხეილ თავართქილაძესთან მიმიყვანა. სოფლის შრომას მიჩვეულს ვარჯიში არ მეზარებოდა — ჩემი სახლიდან დარბაზამდე 12 კილომეტრი იყო. ხშირად მივლია ფეხით, რადგან ზოგჯერ ავტობუსის ფულიც არ მქონდა. განსაკუთრებით ზამთრობით მიჭირდა: ადრე ღამდებოდა, გორები უნდა გადამევლო და ტურების მეშინოდა. ამიტომ დროდადრო მეგობრებთან — ზურაბიანებთან ვრჩებოდი. ისინიც ჭიდაობდნენ და ნახევრად მათს ოჯახში გავიზარდე. გზასავალი რომ შეემსუბუქებინათ, ბიჭებმა ველოსიპედის ნაწილები შემიგროვეს და ჩემი ხელით ავაწყვე „რკინის რაში". მერე ვარჯიშებზე სიარული გამიადვილდა. 16 წლის ვიყავი, რაიონულ პირველობაზე ტრავმირებულმა რომ ვიჭიდავე. ტკივილს ყურადღებას არ ვაქცევდი — ჩემპიონობა რომ არ მომეპოვებინა, უფროსი ძმა ვარჯიშებზე არ გამიშვებდა. ოჯახის მთელი სიმძიმე მას აწვა მხრებზე და, ცხადია, დამხმარე სჭირდებოდა. შინ პირველი ადგილის დიპლომითა და მედლით რომ დავბრუნდი, ზაურს გაუხარდა და მერე ხელსაც კი მიწყობდა, ვარჯიშები აღარ გამეცდინა. 1971 წელს მოსწავლეთა საქართველოს სპარტაკიადა რომ მოვიგე, დათო დავითაიას ინიციატივით სავარჯიშოდ თბილისში გადმომიყვანეს. ბატონი დათო მაშინ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო; იმავე წელს ალმაატაში მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონი გავხდი. 1973 წელს სწორედ დათო დავითაიას ხელმძღვანელობით „კლასიკოსებმა" ჯერ საბჭოთა კავშირის, შემდეგ კი ევროპის თასი მოვიგეთ ბულგარეთში. მაშინ გუნდში ჩემთან ერთად გამოდიოდნენ ცნობილი ფალავნები —მიხეილ სალაძე, თეიმურაზ აფხაზავა, ესტატე გოგლიჩიძე, ბაქსან ლეკვეიშვილი, თამაზ ბაბუხადია, ავთანდილ მაისურაძე, თამაზ მაჭარაშვილი, რაინდი აბრამიშვილი, მერაბ ხუხუა. ეს იყო ქართული საჭიდაო სკოლის უდიდესი წარმატება. მსგავსი შედეგი სამი წლის შემდეგაც გავიმეორეთ.

**— საკავშირო ჩემპიონატზე პირველად როდის იჭიდავეთ?**

—1976 წელს, ულიანოვსკში. 52 კილოში გამოვედი, ხუთი ორთაბრძოლა მოვიგე, მეექვსეში შატუნოვთან ქულით დავმარცხდი და მესამე ადგილზე გავედი. მომდევნო წელს ტრავმის გამო საკავშირო პირველობაზე ვერ ვიჭიდავე. ნაკრებში მოსახვედრად ბულგარეთში პეტროვის სახელობის ტურნირზე გამგზავნეს. ყველა მეტოქე ისე დავამარცხე, ქულაც არავისთვის დამითმია. ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ოლიმპიური ჩემპიონი ხისამუტდინოვი მენდო და მსოფლიოს უნივერსიადაზე მაჭიდავა, ისევ ბულგარეთში. მე და თემურ აფხაზავა ჩემპიონები გავხდით.

**— თქვენთვის, ალბათ, ყველაზე ძვირფასი ოლიმპიური თამაშების მოგება იყო.**

— რა თქმა უნდა. მაგრამ აქვე 1978 წელიც მინდა გავიხსენო — ევროპაც მოვიგე და მსოფლიოც. კონტინენტის პირველობის ფინალში უნგრელ ორგზის მსოფლიოს ჩემპიონ რაცს ვძლიე, მსოფლიოზე კი ასევე ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი რუმინელი ჯინგა დავამარცხე. გონგამდე 6 წამით ადრე ანგარიში თანაბარი იყო. დარჩენილ დროში ქულა რომ არ ამეღო, რუმინელი გახდებოდა ჩემპიონი. არადა, 9-წუთიანი შერკინებით ისე ვიყავი დაღლილი, სუნთქვა მიჭირდა. ჯემალ მეგრელიშვილმა დამიყვირა — ქულა გჭირდებაო. არც დამიხანებია — წელში შევუვარდი მეტოქეს, ხა-



ლიჩას დავანარცხე და დავატრიალე. საბოლოოდ 3 ქულით ვაჯობე და ჩემპიონობა მოვიპოვე.

რაც შეეხება მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს, იქ მოსახვედრად დიდი გამოცდა გავიარე. ერთი კონკურენტი მყავდა — კამილ ფატკულინი, რომელმაც 1979 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი რაცთან დათმო. იმ წელიწადს ტრავმის გამო არ მიჭიდავია. ამის მიუხედავად, მწვრთნელები პირველ ნომრად მიმიჩნევდნენ, მაგრამ ეს უნდა დამემტკიცებინა. და აი, 1980 წლის მარტში ევროპის ჩემპიონატი გაიმართა ჩეხეთში. ექვსი შეხვედრა გავმართე და ყველა წმინდად მოვიგე. ფინალში რაცი დავამარცხე. ამის შემდეგ ოლიმპიადაზე ჩემი მოხვედრა სათუო აღარ გამხდარა.

**— მოსკოვის ბატალიებს უფრო დაწვრილებით ხომ ვერ გაიხსენებდით?**

— ზედიზედ ოთხი გამარჯვების შემდეგ ნახევარფინალში რუმინელ ჯინგას ვძლიე სუფთად და ფინალში ტრადიციულ მეტოქე რაცს დავუპირისპირდი. შეხვედრამდე კარგა დრო იყო დარჩენილი. პოლონელმა სუპრონმა, რომელიც 68 კილოში ჭიდაობდა, მითხრა — რაცი ახლა ჩვენთან ტრაბახობდა, ბლაგიძე უნდა დავამარცხოო და მოსათელ დარბაზში ისვენებსო. სათადარიგო დარბაზში შევედი, ვნახე, რაცი ხალიჩაზე წამოწოლილიყო. იქვე კუთხეში სპორტსმენები ჩაის და ყავის რიგში იდგნენ. არ მომრიდებია, ჯიქურ მივადექი დახლს. ქალებმა უარი მითხრეს — რიგში ჩადექიო. მეტიც არ მინდოდა — გაბრაზებულმა ზედ რაცის თავზე კედელზე გავირბინე. არ დამავიწყდება გაოგნებული მეტოქის ფართოდ გახელილი თვალები. იქაურობა დავტოვე. ბატონი ჯემალ მეგრელიშვილი გამიბრაზდა — რამ გაგაგიჟა, ეს რა გააკეთე, ტრავმა რომ მიგელო, რას შვრებოდიო, მითხრა. არადა, მას ნანახი ჰქონდა ჩემი ასეთი „გარბენები" ვარჯიშებისას. მერე შევიტყვე, ბატონ ჯემალს კედელზე თურმე ჩემი 12 ნაფეხური დაუთვლია.

ფინალში საჭიდაოდ რომ გვიხმეს, შევნიშნე, რაცს მუხლები უცახცახებდა. მივხვდი, რომ გადამწყვეტი ორთაბრძოლა მოგებული მქონდა. მართლაც, 19:1 გავიმარჯვე და ოლიმპიური ჩემპიონი გავხდი. სარბიელიდან გამოსვლის წინ პირჯვარი გადავიწერე და ხალიჩას სამჯერ ვაკოცე. ეს ჟესტი ძვირად დამიჯდა. დაჯილდოების შემდეგ უცხო პირები მოვიდნენ და მთელი ამბავი გადამხდა. ჩემი სამომავლო კარიერა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. მაინც არ ვნანობ ჩემს საქციელს, რადგან ის გამარჯვება უფლის ნებაც იყო.

**— კი მაგრამ, თქვენ ხომ მომდევნო წელს მსოფლიოზეც იჭიდავეთ?**

— დიახ. ჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე გამოვედი როსტოვში. რადგანაც საკავშირო სპორტკომიტეტში ცერად მიყურებდნენ, ნაკრებში სომეხ ბენურ ფაშაიანის მიწვევას აპირებდნენ. ჩემს მხარეს იყო ნაკრების მთავარი მწვრთნელი გენადი საპუნოვი. ვინც საკავშირო ჩემპიონატს მოიგებს, მსოფლიოზეც ის წავაო, თქვა, თან შემაგულიანა, რადგან კარგი ურთიერთობა გვქონდა. ფინალში სწორედ მე და ბენური შევხვდით ერთმანეთს. წუთნახევარში 12 ქულა ავართვი და ოქროს მედალი მოვიპოვე. საპუნოვმაც სიტყვა შეასრულა — ზემოდან დიდი წნეხის მიუხედავად, მსოფლიოს ჩემპიონატზე წამიყვანა ნორვეგიაში, სადაც მე და მიხეილ სალაძე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავედით. ექვსი ორთაბრძოლა მოვიგე და ყველას ერთად 6 წუთი მოვანდომე. ფინალში იაპონელს ვძლიე 40 წამში. როდესაც გვაჯილდოებდნენ, უშიშროების ერთ-ერთ მაღალჩინოსანს უთქვამს — ის კიდევ ჭიდაობსო. დიდი სარბიელისკენ გზა გადამიკეტეს, თუმცა, საპუნოვმა 1982 წელს კიდევ ერთხელ მიხმო ნაკრებში მსოფლიოს თასზე საასპარეზოდ. მაშინაც ფინალში რაცს მოვუგე. თანაც ბუდაპეშტში — 12:0. ამის შემდეგ საპუნოვმა მითხრა — პირჯვარის გადაწერას გაპატიებენ და ნაკრებში დაგაბრუნებენ, საცხოვრებლად მოსკოვში თუ გადმოხვალ და რუსეთის სახელით იჭიდავებო. დაუფიქრებლად უარი ვტკიცე. იმ წელიწადს მსოფლიოზე არ წამიყვანეს. ვიცოდი, რომ გზას არ გამიხსნიდნენ, ამიტომ ჭიდაობის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა და დიდ სპორტს ჩამოვშორდი. ერთი წლის შემდეგ მკლავის ოპერაცია გავიკეთე. იარა წესიერად არც მქონდა მოშუშებული, რომ ჟიული შარტავამ მთხოვა, საქართველოს სჭირდება და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე უნდა გამოხვიდეო. ხათრი ვერ გავუტეხე, ვიჭიდავე და ბრინჯაოს მედალიც ავიღე. მეტი აღარც გავსულვარ ხალიჩაზე...

**ᲕᲐᲟᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ**

◎ „მამულიშვილთა გახსენება“

# დიდი ფერმწერის საიუბილეო დღეები

## ლადო გუდიაშვილი – 120

**წლეულს ქართველი საზოგადოება გამოჩენილი მხატვრის ლადო გუდიაშვილის დაბადებიდან 120 წლის იუბილეს აღნიშნავს. საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „მამულიშვილთა გახსენება“ (ფონდის ხელმძღვანელი ბონდო კობაძე) დიდი მხატვრის საიუბილეო დღეებში მეტად საინტერესო პროგრამით, საკუთარ წვლილს შეიტანს. ფონდს გვერდით დაუდგა მცხეთა-მთიანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ბატონ გოჩა ზეიკიძის ადმინისტრაცია და დუშეთის მუნიციპალიტეტი, გამგებლის ბატონ ვაჟა ჩოხელის ხელმძღვანელობით.**

17 ივნისს დიდი მხატვრის შემოქმედების დამფასებლები 3 საათზე ყვავილებით შეამკობენ მთაწმინდის პანთეონში მხატვრის საფლავს, აქვე ჩატარდება საზეიმო ღონისძიებაც. ქართული კულტურის წარმომადგენლები, მხატვრები, მწერლები, მომღერლები, მსახიობები მოიგონებენ ლადო გუდიაშვილს, დაგეგმილია ეროვნულ-სახელმწიფო საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ფონდ „მამულიშვილთა გახსენების“ საპატიო სიგელებით ქვეყნის რჩეულთა დაჯილდოება.

ფონდის ხელმძღვანელობამ წლეულს რჩეულთა შორის დაასახელა ლეგენდარული მოჭადრაკე **ნონა გაფრინდაშვილი,** აკადემიკოსები **ნოდარ ჭითანავა და ფრიდონ თოდუა,** მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ფოლკლორული ანსამბლი **„მირანგულა“** (ხელმძღვანელი საქართველოს დამსახურებული არტისტი **ქეთევან შინდაგორიძე**) და მცხეთა-მთიანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული **გოჩა ზეიკიძე**.

საიუბილეო საღამოში მონაწილეობას მიიღებენ პოპულარული ქართველი მუსიკოს-შემსრულებლები **ირმა სოხაძე, თამრიკო ჭოხონელიძე,** მსახიობი **ჯემალ ღაღანიძე,** ლადო გუდიაშვილის მოწაფე, ცნობილი მხატვარი და პუბლიცისტი **რეზო (ემელიანე) ადამია,** ფოლკლორული ანსამბლი **„მეტეხი“** (ხელმძღვანელი **გელოდი ფოცხიშვილი**), ცნობილი მოცეკვავე **თენგიზ უთმელიძე** და მსახიობი **ელდინო საღარაძე,** რომელიც ლადო გუდიაშვილისადმი მიძღვნილ საკუთარ ლექსებს წაიკითხავს.

18 ივნისს საიუბილეო ღონისძიებებს უკვე ლადო გუდიაშვილის მშობლიური კუთხე უმასპინძლებს, დუშეთში 12 საათიდან დაგეგმილია „ჯეოჰოსპიტალის“ საავადმყოფოში ადგილობრივთა სამედიცინო გამოკვლევა. ამისათვის სრულიად უსასყიდლოდ იზრუნა აკადემიკოსმა ფრიდონ თოდუამ, რომლის კოლეგებიც სრულყოფილ გამოკვლევებს ჩაუტარებენ მსურველებს; გაიმართება ერთდროული სეანსი ჭადრაკში ქართველ დიდოსტატებსა და ღონისძიების მონაწილეთა შორის; ექსკურსიები ჟინვალში, ბაზალეთის ტბაზე და დუშეთის ღირსშესანიშნავ ადგილებში. 17 საათზე საზეიმო საღამო გაიმართება დუშეთის კულტურის სასახლეში. საღამოს წაიყვანს საქართველოს სახალხო არტისტი **დიმიტრი ჯაიანი;** სახალხო დღესასწაულზე დუშეთს საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელი ეწვევა. მათ შორის ოზურგეთის ფოლკლორული ანსამბლი **„ვახტანგური“,** რომელიც ადგილობრივ ფოლკლორულ ანსამბლთან ერთად თავის ხელოვნებას გააცნობს დღესასწაულის სტუმრებსა და მასპინძლებს.



ალსანიშნავია ისიც, რომ ფონდ „მამულიშვილთა გახსენების“ ინიციატივით გამზადებულია და რამდენიმე დღეში გამოიცემა საიუბილეო დღეებისადმი მიძღვნილი 360-გვერდიანი წიგნი-ალბომი **„ლადო გუდიაშვილი –120“**. ღონისძიებისთვის შპს **„დუგლაძეების ღვინის“** კომპანიამ (გენერალური დირექტორი ზაალ დუგლაძე) ჩამოასხა სპეციალური ორი სახის 800 ბოთლამდე ღვინო – თეთრი „წინანდალი“ და წითელი „მუკუზანი“, რომელსაც ამშვენებს ლადო გუდიაშვილის პორტრეტი.

**ავთანდილ ბექაური**

### გურიაში მავნე მწერებს ებრძვიან

**სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის სპეციალისტები გურიის რეგიონში საშიში მავნებლის – არაფარდი პარკხვევიას** (Ocneria dispar L) **საწინააღმდეგო ღონისძიებებს ატარებენ.**

მავნებლის გამოჩენა არამდეგრადმა ამინდებმა გამოიწვია, რის შემდეგაც სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ოპერატიულად მიიღო შესაბამისი ზომები. ქიმიური წამლობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს. 200 ჰექტარი ფართობი თერმული ნისლის ტექნოლოგიის გამოყენებით მუშავდება, რაც ადამიანისა და გარემოსთვის სრულიად უსაფრთხოა. მავნებლის სალიკვიდაციო სამუშაოები 1 კვირის განმავლობაში გაგრძელდება.

არაფარდი პარკხვევია ფოთლოვანი ტყის მავნებლად ითვლება, თუმცა, არანაკლები ინტენსივობით აზიანებს ხეხილსა და დეკორატიულ მცენარეებს, საკვების ნაკლებობისას კი წიწვოვან და თავთავიან კულტურებზეც გადადის. მასობრივი გამრავლების შემთხვევაში შესაძლოა, მათი გახმობაც გამოიწვიოს.

რეკლამა
293-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

### ფალსიფიცირებული ნახევარფაბრიკატები მომწამვლელია!

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, ფალსიფიკაციისა და ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება-რეალიზაციის ფაქტზე, შპს „ფასანაური 2010“-ის დირექტორი იაგო ბიჩინაშვილი და ი/მ „თეონა ბუხრაძის“ ხელმძღვანელი ნიკოლოზ ბუთხუზი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.**

ბრალდებულები სანიტარული ნორმების დარღვევით კუსტარულად მოწყობილ საწარმოებში ახდენდნენ ჯანმრთელობისთვის საშიში, ფალსიფიცირებული ნახევარფაბრიკატების – კატლეტის, აფხაზურას, ხინკლის, ტოლმის, ბლინის, ფარშისა და ქაბაბის დამზადებას და შემდგომში მის რეალიზაციას.

ჩადენილი დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5 წლამდე ვადით.

### ხელვაჩაურში წვეულებაზე 24 ადამიანი მოიწამლა

**ხელვაჩაურში, სოფელ სატეხიაში, წვეულებაზე 24 ადამიანი, მათ შორის, 11 ბავშვი მოიწამლა, რომლებიც სამ სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში მოათავსეს. წინასწარი დიაგნოზი დაუდგენელი ეტიოლოგიის ინტოქსიკაციაა.** ყველა მათგანის მდგომარეობა საშუალო და მსუბუქი სიმძიმის იყო. თუ რა გახდა 24 ადამიანის ინტოქსიკაციის მიზეზი, ლაბორატორიული კვლევის შედეგების შემდეგ გახდება ცნობილი.

# ესპანური კომპანიაც მიუტევებლად აგვიანებს!

## ბათუმის ანბანის კოშკში გასართობი ობიექტები ჯერ კიდევ 2015 წლის ბოლოდან უნდა ამოქმედებულიყო

**ბათუმის ანბანის კოშკში გასართობ ობიექტებს ფუნქციონირება ჯერ კიდევ 2015 წლის სექტემბრიდან უნდა დაწყო, თუმცა ინვესტორმა „Boost Spain S. I.“ ვალდებულებები დროულად ვერ შეასრულა.**

**როგორც აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში განმარტავენ, შეუსრულებელი ვალდებულებებისათვის ინვესტორ კომპანიას 15 ივნისის მდგომარეობით 1 მლნ 470 ათასი ლარის მოცულობის ჯარიმა ერიცხება.**

თუმცა თავის მხრივ „Boost Spain S. I.“ მთავრობას აღნიშნული ჯარიმის ჩამოწერას სთხოვს.



ირკვევა ისიც, რომ ჯარიმის პატიებასთან ერთად „Boost Spain S. I.“-ს არსებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანაც სურს, რაც პროექტის რეალიზების ვადაში გადაწევას გულისხმობს.

„აჭარის მთავრობა იმსჯელებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას პირობების ცვლილებებისა და პირგასამტეხლოსგან პირობებით გათავისუფლების თაობაზე“, განმარტავენ აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში.

აღსანიშნავია, რომ ინვესტორსა და აჭარის მთავრობას შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, გარე ტერასა და კაფე კოშკში 2015 წლის აგვისტოს ბოლომდე, ხოლო მთლიანი შენობა ექსპლუატაციაში ოფიციალურად 2015 წლის სექტემბრიდან უნდა შესულიყო.

როგორც „მარკეტერთან“ საუბრისას ანბანის კოშკის მარკეტინგის მენეჯერმა ირინა ხომასურიძემ განაცხადა, კოშკში ამ დროისათვის სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. ობსერვატორიისა და ქვედა ტერასის გახსნა იგეგმება 21 ივნისს, ხოლო რესტორნის, – ივლისის ბოლოს. საკონფერენციო დარბაზები კი, 2016 წლის ბოლოს დაიწყებს ფუნქციონირებას.

„მბრუნავი რესტორანი მყუდრო გარემოსა და არაჩვეულებრივ ინტერიერს შესთავაზებს მომხმარებელს. შესანიშნავი ხედი იშლება ობსერვატორიიდან, ასეთი ხედი ბათუმის სხვა არც ერთი წერტილიდან არაა. აქ განთავსებული ფართო ეკრანები საქართველოს სხვადასხვა ღირსშესანიშნაობების შესახებ ინფორმაციას გვამცნობს და ვფიქრობ, ტურისტები ამით ძალიან დაინტერესდებიან. ობსერვატორია ჯერ არ გახსნილა და უკვე ბევრი უცხოელი ტურისტი მოდის კოშკზე ასვლის სურვილით. ასევე, პანორამული ლიფტები და სხვა სანახაობები ნამდვილად დააინტერესებს არა მხოლოდ უცხოელ ტურისტს, არამად საქართველოს მოსახლეობასაც.

ვთანამშრომლობთ თბილისისა და ბათუმის ტურიზმის დეპარტამენტებთან და გვინდა, რომ კოშკში ამოსულ ტურისტებს მივაწოდოთ მაქსიმალურად სრულყოფილი ინფორმაცია საქართველოს შესახებ. ამ პროცესში ადგილობრივი მოსახლეობაც დასაქმდება. ახლა ვგეგმავთ მომსახურე პერსონალის შერჩევას და შესაბამისად, აჭარის მთავრობასთანაც ვთანამშრომლობთ. იმედი გვაქვს, კიდევ ბევრ პარტნიორს შევიძენთ.

ასევე, პერიოდულად მოვამზადებთ სხვასხვა რეკლამებს. ძირითადი აქცენტი სოციალურ ქსელებზე გაკეთდება და შემდეგ, ეტაპობრივად შემოგთავაზებთ სხვადასხვა ღონისძებებსა და აქტივობებს. ანბანის კოშკი ბევრ საინტერესო საღამოსა და დღეს ჰპირდება მომხმარებელს, აცხადებს ირინა ხომასურიძე.

შეგახსენებთ, რომ ანბანის კოშკი და მის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი 20 წლის სარგებლობის უფლებით ესპანურ კომპანია Boost Spain-ს გადაეცა.

მხარეებს შორის გაფორმებულ ურთიერთშეთანხმების მემორანდუმში აღნიშნულია, რომ მრავალფუნქციური ობიექტის ამოქმედებიდან სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში, სარგებლობაში გადაცემული ნაგებობის, ლიფტების, გარე განათების სისტემების, მოვლა-პატრონობა და სარგებლობის ვადის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრისათვის გამართულ მდგომარეობაში ჩაბარება, უზრუნველყოს.

ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ Boost Spain S. I.-ს კოშკის განათებისა და მოვლა-პატრონობის ხარჯებს თავად დაფარავს, ეს იმ ფონზე, როდესაც აჭარის ბიუჯეტს ანალოგიური ხარჯი წელიწადში 700 ათასი ლარი უჯდებოდა.

თავის დროზე ანბანის კოშკის მშენებლობა ბიუჯეტს 65 მლნ ლარი დაუჯდა. „საოცრებათა პარკის“ ტერიტორიაზე განთავსებული ქართული ანბანისადმი მიძღვნილი თანამედროვე არქიტექტურული ნაგებობის სიმაღლე 135 მეტრია. აღსანიშნავია, რომ ქართული ანბანის ოცდაცამეტივე ასო კოშკზე წარმოდგენილია მხედრულად, ხოლო ანბანის თითოეული ასოს სიგრძე 3 მეტრი და 70 სმ-ია. შენობა მთლიანად რკინისაა და მასში გადაადგილება მხოლოდ ლიფტითაა შესაძლებელი, რომელიც, თავის მხრივ, შემინულ პანორამულ კონსტრუქციას წარმოადგენს.

ქართული ანბანის კოშკი ბათუმის სიმბოლოდ ითვლება და სხვა შენობებისგან იმით გამოირჩევა, რომ იგი ქალაქში ერთ-ერთი მაღალი შენობაა. კოშკის სფერო სამსართულიანია (ფართი 1252 კვ.მ.). ორი სართული განკუთვნილია მბრუნავი რესტორნისთვის და ოფისისთვის. სფერო ერთი საათის განმავლობაში ერთ სრულ ბრუნს ასრულებს, საიდანაც ქალაქის ხედები არაჩვეულებრივად ჩანს.

# პატარა ანდრეა ღლონტს



*ვულოცავთ დაბადების დღეს.*

*ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და ლამაზ ბავშვობას ვუსურვებთ.*

სიყვარულით
დაჩი და ბარბარე ვაშაკიძეები.


## ევროპის ჩემპიონატზე იტალიის ნაკრები საქართველოში დამზადებული ფორმით გამოდის

**საფეხბურთო გუნდის სპორტული ტანისამოსი აჭარაშია შეკერილი. ინფორმაციას „ბიზნესკონტაქტი“ საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის გენერალური მდივნის ოსმან ჩალიშქან-მჟავანაძეზე დაყრდნობით ავრცელებს.**

ოსმან ჩალიშქან-მჟავანაძე ამბობს, რომ კომპანია „აჭარა ტექსტილი“ ფაბრიკებს ამ ეტაპზე ბათუმის გარდა ქობულეთშიც ფლობს და უახლოეს პერიოდში მისი გახსნა ფოთშიც არის დაგეგმილი.

საქართველოში დამზადებული სპორტული ტანისამოსით 33 გუნდი მარაგდება წარწერით Made in Georgia.

„აჭარა ტექსტილის“ ქარხანა 2010 წელს გაიხსნა, ადგილზე 3000-მდე ადამიანია დასაქმებული.




**დედაქალაქი**

# თანაბარი უფლებებით, თანაბარი შესაძლებლობებით

**დიდი ზეიმი მოეწყო 14 ივნისს დედაქალაქის 9 აპრილის სახელობის ბაღში, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაცვის საერთაშორისო დღე მასშტაბურად აღინიშნა.**



ასე ფართოდ ეს დღე პირველად ჩატარდა და მასში თბილისელების გარდა საქართველოს სხვადასხვა მხრიდან ჩამოსულმა პატარა თუ დიდმა უნარშეზღუდულმა პირმა მიიღო, მათ შორის ავღანეთში დაჭრილმა ჩვენმა სახელოვანმა ჯარისკაცებმა, ფარიკაობაში საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებულებმა. დღესასწაულს მრავალი ჩვენი თანამოქალაქე დაესწრო, საპატიო სტუმრებს შორის იყვნენ თბილისის მერი დავით ნარმანია, საქართველოს პირველი ლედი მაკა ჩიჩუა, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, უცხოელი სტუმრები.

ზეიმის გახსნისას ბატონმა დავით ნარმანიამ და ქალბატონმა მაკა ჩიჩუამ უნარშეზღუდულთ გულითადი თაგადგომა და ყოველგვარი დახმარება აღუთქვეს.

სახელდახელოდ გამართულ მოედანზე უნარშეზღუდულმა ახალგაზრდებმა პარტნიორებთან ერთად სტუმრებს ეტლებით ცეკვის ულამაზესი კონცერტი გაუმართეს, იმღერეს კიდეც და სპორტული შეჯიბრიც მოაწყვეს — ბაღის გარშემო ერთგვარი მარათონული რბოლაც ჩაატარეს. ყველა მათგანს სამახსოვრო საჩუქარი გადაეცა.

ზეიმმა საღამომდე გასტანა და უკლებლივ ყველა დამსწრეზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვა.

**ნინო ალექსანდრია**

**ელგუჯა ნადარეიშვილის** ფოტო.

## ჰაიტ, შენი დედა!..



**ცოტა ხნის წინათ ბრიტანული გაზეთის „ნიუ დეის“ პირველ გვერდზე დაიბეჭდა მომღიმარი შეყვარებული წყვილის ფოტო, რომელზეც გამოსახული ქალი სატრფოზე აშკარად ასაკოვანია.**

მასალა კი, რომელსაც სურათი „ამშვენებდა“, ასე იყო დასათაურებული: „მე შეყვარებული ვარ ჩემს ვაჟიშვილში და მისგან ბავშვის გაჩენა მინდა“. ქალმა, სახელად კიმი, რომელიც ახლა 51 წლისაა, საკუთარი პირმშო დაბადებიდან მალევე მიატოვა. მაგრამ შემდგომ, როცა უკვე გაზრდილ შვილს შეხვდა (იგი 32 წლისაა), მისდამი „მგზნებარე ვნებამ“ შეიპყრო...

ზოგიერთი ამას გენეტიკურ აშლილობად მიიჩნევს, ზოგიერთი კი უბრალო უზნეობად და გარყვნილებად. თუმცა, ამის სახელის მოძებნა, როგორც თეორიულად ისე, პრაქტიკულად შეუძლებელია.

## ციტრუსები... თვალს უხდება

**ტყუპების წყვილთა გამოკვლევის შედეგად, ბრიტანელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ კვების რაციონი კატარაქტის განვითარებაზე გენეტიკაზე მეტად მოქმედებს.**

მათ, ვისი რაციონი უფრო მეტ ციტრუსს შეიცავს, თვალის ბროლი გამჭვირვალე გაცილებით დიდ ხანს უნარჩუნდებათ. ამის საიდუმლო C ვიტამინის შემცველობაშია, რომლის მოხმარება ავადმყოფობის განვითარების რისკს 33 პროცენტით ამცირებს.

## სრულფასოვანი ძილის ფასი

**კალიფორნიის უნივერსიტეტის მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ღამის სრულფასოვანი ძილი იმუნიტეტს ამაღლებს.**

მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ის პირები, ვისაც სამუშაო დღეებში დღე-ღამეში 5 საათი ეძინა, იმათზე 28 პროცენტით უფრო ხშირად ცივდებოდნენ, ვისაც 7-8 საათი ეძინა.

გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ რეგულარული უძილობა გრიპის, პნევმონიის ან ყურის ინფექციის საფრთხეს 80 პროცენტით ზრდის.

## წნევა გაქვთ? მსხალი მიირთვით, ბატონო!



**მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მსხალი არტერიულ წნევას არეგულირებს.**

ეს ხილი უჯროვანას, საკვები ბოჭკოებისა და C ვიტამინის დიდებული წყაროა. მისი მოხმარება აწესრიგებს კუჭ-ნაწლავთა სისტემის მუშაობასა და აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, რაც სასიკეთოდ აისახება სისხლძარღვთა მდგომარეობაზე.

მათ, ვინც დღეში ორ მსხალს მიირთმევს, წნევის მაჩვენებლები თორმეტ კვირაში ნორმალურამდე უწევთ.

**რეკლამა** მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87; 599 797679

**ცინცხალი ანეკდოტები**

**ავადმყოფის** პალატაში ახალგაზრდა ლამაზი ექიმი ქალი შევიდა.

— მითხარით, ექიმო, შეიძლება მაქვს რაიმე შანსი?

— არავითარი. მე მელოტი მამაკაცები არ მიყვარს.

* * *

**მუზეუმის** გიდი უხელო მეომრის ქანდაკებაზე ეუბნება ტურისტებს:

— ამ ნამუშევარს ავტორმა „გამარჯვებული“ უწოდა.

— წარმოგიდგენია, დამარცხებული რა დღეში იქნებოდა, — ამბობს ერთ-ერთი მნახველი.

* * *

— **მიხო**, მართალია, რომ შენმა ცოლმა განქორწინება მოითხოვა?

— მართალია, მაგრამ ასეთივე თხოვნით სასამართლოს მეც მივმართე!

— ვერ გამიგია, ყველაფერში ასეთი შეხმატკბილება და თანხმობა თუ გაქვთ, რაღას იყრებით?

* * *



**იდეალური** ცოლი — ესაა სკოლის მასწავლებელი. ყოველ შემთხვევაში, ესაა ერთადერთი პროფესიის ქალი დედამიწის ზურგზე, რომელიც, მას შემდეგ, რაც კითხვას დასვამს, პასუხის მოსასმენად ცოტა ხანს მაინც ჩუმდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გამოიწერეთ:**

**6 თვით — 60 ლარი,**
**1 წლით — 120 ლარი.**

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.129; ევრო - 2.399;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.017;
100 რუბლი - 3.238; თურქული ლირა - 0.727;
აზერბაიჯანული მანათი - 1.408;
1000 სომხური დრამი - 5.438

**ამინდი 16 ივნისისთვის**

**აღმოსავლეთი საქართველო:**

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე +14, | დღე +33 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +10, | დღე +32 |

**დასავლეთი საქართველო:**

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე +18, | დღე +38 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +11, | დღე +35 |
| თბილისი: | ღამე +17, | დღე +31 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE